# საერთო გაზეთი

№47 (410) • 14 დეკემბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## რის უფლებას არ აძლევს საკუთარ თავს თბილისის ყველაზე პრესტიჟული რაიონის გამგებელი?



**სოსო არჩვაძე:**

## 2017 წლისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია იმ პროგრამების დაფინანსებაც, რომლებიც დასაქმების ზრდას გულისხმობს...





**მამა ბასილი:**

ბუღაძეები, დეისაძეები, ქარუმიძეები და სხვები, აგრეთვე მათი დამფინანსებლები, უნდა მოიკვეთონ - ისინი საქართველოს გარყვნილებაში მიაქანებენ!

**არჩილ კაიკაციშვილი:**

გამართლებულად მიმაჩნია, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილს საკონსტიტუციო კომისიის თანათავმჯდომარეობაზე უარი ეთქვა



**დემურ გიორხელიძე:**

## „ეროვნული ბანკი“ კომერციული ბანკების მომსახურების ბიუროდ და ხელის ბიჭად იქცა



## 2107 წლის საშინელი სენსაცია, რომელიც შეაძრწუნებს მთელ მსოფლიოს



**სუფრასთან მოქცევის და ეტიკეტის სწავლება**



„ნეტა მომცა ერთი კეტი, რომ გასწავლოთ ეტიკეტი“

# რის უფლებას არ აძლევს საკუთარ თავს თბილისის ყველაზე პრესტიჟული რაიონის გამგებელი?

**ინტერვიუს დაწყებამდე ნოდარ ტურძელაძემ ერთი საიდუმლო გამიმხილა- მოქალაქეთა მიღების დღე პარასკევობით გვაქვს, მაგრამ საკუთარ თავს ვერ მივცემ უფლებას, რომ ადამიანს, რომელსაც რაღაც პრობლემა აწუხებს და ჩემთან შეხვედრა უნდა, წადი და პარასკევს მოდიო, ვუთხრა. ეს ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება.**

**„საერთო გაზეთს“ ვაკის რაიონის გამგებელი ნოდარ ტურძელაძე ესაუბრა:**



— 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის დღეებში მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე ვიყავი და სხვებთან ერთად, მთელი ღამის განმავლობაში, ტრაგედიის ადგილი არ დამიტოვებია. რაც მაშინ ვნახე, ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება.. სტიქიიდან ხუთი თვის შემდეგ ანუ 2015 წლის ნოემბერში ვაკის რაიონის გამგებელი გავხდი და სტიქიის შედეგების აღმოფხვრა ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. ყველაზე დიდი დარტყმა, რომელსაც ვერაფრით შევამსუბუქებთ, ადამიანების დაკარგვაა და მინდა, რომ მათ ოჯახებსკიდევ ერთხელ მოვუსამძიმრო. რაც შეეხება მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, ვფიქრობ, სახელმწიფომ სტიქიით დაზარალებულების მიმართ უპრეცენდენტო თანადგომა გამოავლინა. სტიქიის შედეგად, საერთო ჯამში, 242 ოჯახი დაზარალდა. ამათგან 166 ოჯახი - II კატეგორიას მიეკუთვნება (ოჯახები, რომელთაც დაუზიანდა სახლი და ის ექვემდებარება რეაბილიტაციას-)და **76** ოჯახი - I კატეგორიას (ოჯახები, რომელთაც დაენგრათ სახლი და ის არ ექვემდებარება რეაბილიტაციას). გარკვეული მიზეზების გამო, რამდენიმე შემთხვევაში, კომპენსაციის გაცემის პროცესი გაჭიანურდა, თუმცა გარწმუნებთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან არც ერთი ოჯახი უყურადღებოდ არ დარჩება.

**— ამ დროისთვის, რამდენი ოჯახი ელოდება საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას?**

— პირველი კატეგორიის დაზარალებულთა ქონებით უზრუნველყოფას თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტო ახორციელებდა. რაც შეეხება მეორე კატეგორიას, რამდენიმე შემთხვევაში იყო სამემკვიდრეოს პრობლემა, რომლის დადგენას დრო ჭირდება. 50-მდე ოჯახთან კი დაუკანონებელი ფართების პრობლემამ იჩინა თავი. სახელმწიფო დაუკანონებელი ფართის სანაცვლოდ, ვერც ფართს გასცემს და ვერც გაარემონტებს, ამიტომ მერიის შესაბამისი სამსახურებისა და ჩვენი იურიდიული სამსახურის დახმარებით, მოვახერხეთ, რომ 40-მდე ოჯახს ფართის დაკავებისთვის შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოედგინა. ფართების დაკანონება მხოლოდ ათმა ოჯახმა ვერ შეძლო, თუმცა, არსებულ წესში ცვლილების შეტანის გზით, ისინი სახელმწიფოსგან კომპენსაციებს აუცილებლად მიიღებენ. ფართების დაკანონების პრობლემა პირველ კატეგორიაში შემავალ ოჯახებსაც ჰქონდათ. აქედან რამდენიმე ოჯახი კომპენსაციას დათანხმდა, ხუთმა ოჯახმა კი მეტი მოინდომა და კომპენსაციაზე უარი განაცხადა. ამჟამად, ამ ოჯახებთანაც მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობს. მთლიანად, 242-დან 20 ოჯახთან მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა, თუმცა ბევრ ოჯახს დღეს უკეთესი საცხოვრებელი პირობებიც კი აქვთ, ვიდრე ადრე ჰქონდათ.

მომავალში, მსგავსი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად, მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა მდინარისკალაპოტის ფორმირების მასშტაბური სამუშაოები ჩაატარა. ახალდაბაში თითქმის ყველა სახლს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. „მზიურის“ მიმდებარე ტერიტორიაზე და წყნეთის ხევში წყალამრიდის მსგავსი კედელი გაკეთდა. დაგეგმილია ტერიტორიის შემდგომი განვითარება, სტუდენტური და ახალგაზრდული სივრცეების შექმნა და კეთილმოწყობა, სპორტული მოედნის მშენებლობა და ა.შ.

**— იქნებ, ვაკის გამგეობის მიერ განხორციელებულ და განსახორციელებელ სხვა პროექტებზეც გვიამბოთ?**

— რაც შეეხება სხვა პროექტებს, ჩვენ გვაქვს რამდენიმე მიმართულება: რაიონში არსებული გზების რეაბილიტაცია, ახალი გზების მოწყობა და კეთილმოწყობის სამუშაოები, რაც დაზიანებული სტადიონებისა და სკვერების აღდგენას და ახლის მოწყობას გულისხმობს. 2015 წლის შემდეგ, ჩვენს ბიუჯეტში მნიშვნელოვანი წილი დაიკავა საყრდენი კედლების გამაგრების სამუშაოებმა, რადგან ბაგების ტერიტორიაზე, ნუცუბიძის ფერდობზე და სხვა ადგილებში სტიქიის მერე დაძრული მიწის მასები უნდა გაგვეჩერებინა და მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემო შეგვექმნა. წყნეთში, დევნილთა ჩასახლებებში 2015-2016 წლის განმავლობაში, რამდენიმე სახის გამაგრება მოვახდინეთ. უამრავი შემთხვევაა, რომ სანიაღვრე სისტემების არარსებობისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების არასწორად მოწყობის გამო, წყალი საცხოვრებელი კორპუსის საძირკველში ჩაედინებოდა და შენობა გასამაგრებელი გახდა. სამწუხაროდ, ასეთი პრობლემა ზოგიერთ ახალ აშენებულ კორპუსსაც შეექმნა. ქუთათელაძის ქუჩაზე გზის რეაბილიტაციას ვახორციელებდით, რომ შუა მუშაობის დროს, პრობლემა წარმოიქმნა და დაახლოებით 50 000 ლარის ღირებულების სანიაღვრე სისტემის ქსელის დამატება მოგვიწია. სამუშაოების ვადა ერთი კვირით გაიზარდა, მაგრამ ყველაფერი საიმედოდ გაკეთდა და სამომავლო პრობლემები თავიდან ავიცილეთ. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და კეთილმოწყობის სამსახურს, რომელმაც წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი გაგვიკეთა, მადლობა მოვუხადო.



თუნდაც, მინდელის ქუჩაზე მდებარე ორი 16 სართულიანი სახლი, რომელიც ნახევარი სანტიმეტრით გადაიხარა - იქ ამჟამად, 800 000 ლარის ღირებულების გამაგრებითი სამუშაოები ხორციელდება.

მინდა, ჩვენს ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიმართულებას — ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პროგრამებსაც შევეხო, რადგან ქალაქში ყველაზე დიდი რაოდენობა - დაახლოებით 1100 ამხანაგობა სწორედ ვაკის რაიონშია. წელს 300-ზე მეტ ამხანაგობაში 2 მლნ.500 000 ლარის ღირებულების სამუშაოები განვახორციელეთ. მოსახლეობას ძირითადი პრობლემები რომ მოვუხსნათ, კოსმეტიკური რემონტების ნაცვლად, პრიორიტეტს ისეთი ტიპის სამუშაოებს ვანიჭებთ, როგორიცაა სახურავის გადახურვა, წყალ-კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება, ლიფტის შეკეთება და ა.შ. როგორც იცით, ცენტრალური მაგისტრალების მოწესრიგება მერიის კეთილმოწყობის სამსახურის კომპეტენციაში შედის. მეორე ხარისხოვანი გზები, ანუ სახლების ეზოებში არსებული გზის საფარი, რაც ყველაზე შრომატევად სამუშაოს წარმოადგენს, რაიონის გამგეობებს აბარია. წლის განმავლობაში, ჩვენ დიდი მოცულობის ასფალტის საფარი დავაგეთ და დაახლოებით 130 მისამართზე ეზოების რეაბილიტაციის პროექტები განვახორციელეთ. მარტო ნუცუბიძის პლატოებზე დაახლოებით 70 კვ.მ-ზე მეტი გზა დაიგო. მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ ახალგაზრდებს და ბავშვებს გართობის ადგილები მოწესრიგებული

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.





ჰქონოდათ. ამიტომ, წელს 28 სტადიონის რეაბილიტაცია განხორციელდა და აქედან ორი მთლიანად ახალი სტადიონია. ეს უპრეცედენტო მაჩვენებელია, რადგან დაახლოებით 2-3 წლის წინ, ვაკის რაიონის გამგეობის მიერ 10 სტადიონამდე კეთდებოდა. რეაბილიტაცია უკვე ჩაუტარდა 30-მდე სკოლას და 2017 წლისთვის 4 ახალი სკვერის მოწყობა გვაქვს დაგეგმილი. მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ მოხდა ნუცუბიძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია, რაც დაახლოებით 15 წლის განმავლობაში, არ გაკეთებულა. მოეწყო 580 მეტრიანი სანიაღვრე ქსელი, რომელიც ძლიერი ნალექის დროს, სერიოზულ პრევენციას მოახდენს.. ძალიან მნიშვნელოვანი იყო თამარაშვილის ხეივნის რეაბილიტაცია. რაც თავი მახსოვს, ეს ხეივანი ორმოებით სავსე და გაუნათებელი იყო. მოუწესრიგებელი იყო დენდროლოგიაც. დღეს გვაქვს განათებული და მოწესრიგებული სარეკრეაციო ზონა 2 კილომეტრიანი სარწყავი სისტემებით და ორივე მხარეს განლაგებული მწვანე ნარგავებით. ფეხით მოსიარულეების უსაფრთხოების მიზნით, გაკეთდა ზებრა-გადასასვლელი, რაც აქამდე არ ყოფილა.

**— კუს ტბაზე დასვენების მოყვარულებისთვის განსაკუთრებით სასიხარულო კუს ტბისა და ვაკის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო ხაზის აღდგენა იყო, რომელიც თუ არ ვცდები, 8 წლის განმავლობაში იყო გაჩერებული.**

— ამ საბაგირო ხაზის რეაბილიტაციამ ჩვენი რაიონის მაცხოვრებლები ძალიან გაახარა. დღეს ეს საბაგირო მოძრაობს და შშმ პირებისთვის ადაპტირებულია.რადგან ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხებს შევეხეთ, გეტყვით, რომ წყნეთში, თამარ მეფის ქუჩის დიდი მონაკვეთზე არც ერთი ავტობუსი არ დადიოდა და მოსახლეობას გაჩერებიდან სახლამდე კილომეტრზე მეტის მანძილის გავლა უწევდა. ტრანსპორტის სამსახურთან ერთად, მოვახერხეთ ამ მიმართულებაზე 5 ნომერი ავტობუსის დამატება და 2017 წლის გაზაფხულიდან, როცა ქალაქში 147 ერთეული ახალი ავტობუსი შემოვა, კიდევ დავამატებთ, რომ ერთსაათიანი ლოდინის დრო შემცირდეს და მოქალაქეებისთვის გადაადგილება უფრო კომფორტული იყოს.

**— როგორც ვიცი, გარკვეული პროექტები სოციალურად დაუცველთა დახმარების კუთხითაც გაქვთ..**

— ეს ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. წლის განმავლობაში, ამ კუთხით, ძალიან სერიოზული სამუშაოები განვახორციელეთ და დაახლოებით 9000 ადამიანს დავეხმარეთ. შედარებისთვის გეტყვით, რომ ეს ოთხჯერ მეტია, ვიდრე, მაგალითად, სამი წლის წინ იყო.

**— ძირითადად, რა სახის დახმარებას უწევთ ?**

— როგორც იცით, ყველა მოქალაქესთვის მოქმედებს ჯანდაცვის დაზღვევა, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. ზოგჯერ შეიძლება ეს დაფინანსება 80 ან 90%-იანი იყოს და შეჭირვებულ ადამიანს იმ 10 და 20 პროცენტის გადახდის საშუალებაც არ ჰქონდეს. რაიონის გამგეობა და თბილისის მერიის შესაბამისი სამსახური ამ სხვაობასაც აფინანსებს. ყველას გვახსოვს, ჩვენი მოქალაქეები საოპერაციო მაგიდებზე ისე იხოცებოდნენ, რომ ფულის გადახდის გარეშე, ხელს არავინ ჰკიდებდა. დღეს სრულიად სხვა ვითარებაა და მეამაყება, რომ იმ სახელისუფლებო გუნდს წარმოვადგენ, რომელმაც ამ პრობლემის გადაჭრა და მოგვარება შეძლო. ამიტომ მაქსიმალურად რაციონალურად ვანაწილებთ სოციალურად დაუცველებისთვის გამოყოფილ ფინანსებს და დახმარებას. მნიშვნელოვანია, რომ ვაკის რაიონში სხვადასხვა ლოკაციებზე განლაგებული უფასო სასადილოების მომსახურეობით 1500-მდე ადამიანი სარგებლობს. რაიონის გამგეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების ბინით უზრუნველყოფის პროგრამაა. არსებობს ქირით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის დახვეწაზეც აქტიურად ვმუშაობთ. თბილისის მასშტაბით, უსახლკაროების ქირებში დაახლოებით 7 მილიონამდე ლარი იხარჯება და აქედან, დაახლოებით ნახევარი მილიონი ვაკის რაიონზე მოდის.

**— ვაკის რაიონში გაჩაღებული მშენებლობების წყალობით, თბილისის ერთ-ერთი გამორჩეული უბანი ნელ ნელა თავის იერსახეს კარგავს. როგორ ფიქრობთ, მშენებლობებთან დაკავშირებით, რეგულაციების გამკაცრებისა და შეზღუდვების დაწესების დრო არ დადგა?**

— კარგი კითხვაა და გეტყვით, რომ ამ კუთხით, თბილისის მთავრობამ არა ერთი სამუშაო განახორციელა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გენერალური გეგმის შემუშავებამდე, ცენტრალურ უბნებში კოეფიციენტების გაზრდა შეჩერდა. ამ გადაწყვეტილებით ბიუჯეტში შემოსავალი შემცირდა, მაგრამ სამთავრობო გუნდმა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ეს საკითხი ცენტრალური უბნებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, სახელმწიფო უკვე აშენებული სახლების ნგრევას ვერ დაიწყებს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის შემოდგომამდე ქალაქს ექნება გენერალური გეგმა, რომელიც აქამდე არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, არა მარტო ვაკის რაიონში, არამედ, მთელ ქალაქში ქაოტური განაშენიანება მიმდინარეობდა. გენერალური გეგმის განსაზღვრის შემდეგ, ამ პრობლემები დიდი ნაწილი მოგვარდება, თუმცა უკვე გაფუჭებული საქმე და უხეში ჩარევები ქალაქგანვითარებაში, როგორ გამოსწორდება არ ვიცი..

**— საუბრის ბოლოს, საახალწლო ღონისძიებების შესახებაც გვიამბეთ..**

— რაც შეეხება საახალწლო ღონისძიებებს, მრგვალ ბაღში დავდგამთ საახალწლო ნაძვის ხეს, სადაც ბავშვებს საახალწლო გარემოს შევუქმნით, კონცერტს ჩავუტარებთ და დასავაჩუქრებთ. მიუსაფარი ბავშვებისთვის ყოველწლიურად განსაკუთრებული ღონისძიებები გვაქვს და წელსაც ასე იქნება. თბილისობის დღესასწაულზე ვაკის პარკში შუმბალენდი გაიხსნა, სადაც მიუსაფარ ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდათ ატრაქციონებით უფასოდ ესარგებლათ. ახალ წელსაც ანალოგიური პროგრამა გვაქვს დაგეგმილი და აუცილებლად განვახორციელებთ.



**ნელი თორდია**
571 35 36 88

P.S. ნოდარ ტურძელაძემ ინტერვიუს დაწყებამდე გამაფრთხილა, საკუთარ თავზე საუბარს არ ვაპირებო და ამ მიმართულებით კითხვის დასმის საშუალება არ მომცა, თუმცა გამგეობის შენობიდან გამოსულმა, გამგებელთან შეხვედრაზე მოსული ადამიანებისგან გამგებლის შესახებ რაღაცეების გაგება მაინც მოვახერხე: “თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი გამგებელის მსგავსი მშრომელი და უშუალო ადამიანი ბევრი არ მინახავს. თანამდებობაზე დაინიშნა თუ არა, თავის გუნდთან ერთად, უბან-უბან და კორპუს-კორპუს ჩამოიარა. ყველა ადამიანს მოუსმინა, ყველა სურვილი და თხოვნა ჩაიწერა და თითქმის ყველა მათგანი შეასრულა. ასე იყო ჩემს კორპუსთან მოსული, სხვა კორპუსებთანაც.. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გზების გაკეთება მოსვლისთანავე დაიწყო და არჩევნებს არ დალოდებია. როგორც ვიცი, სამსახურიდან სახლში მისვლამდე ჩამოივლის და ქუჩაში დაყრილ ნაგავს ან რაიმე უწესრიგობას თუ ნახავს, თანამშრომლებს ურეკავს და მყისიერი რეაგირება ხდება. ზუსტად ვიცი, რომ თანამშრომლები 24 საათიან რეჟიმში ჰყავს და არც თვითონ ისვენებს და არც მათ ასვენებს. ურთიერთობაში ძალიან თბილი და ყურადღებიანი ადამიანია. ერთხელ თუ ნახა, ყველა ადამიანი ახსოვს და ქუჩაში თუ შეგხვდა, უსალმოდ არ ჩაივლის.. წინა ხელისუფლების დროს, მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებები ჰქონდა, ყველაზე კატეგორიული უარი თქვა და ორი თუ სამი წელი სახლში უმუშევარი იჯდა. მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაიწყო მუშაობა. არ ვიცი, სხვა რა ვთქვა.. გამგებელში მართლაც გაგვიმართლა და ვისურვებდი, რომ გვიმრავლოს ასეთი ახალგაზრდები.“- მითხრა ქალბატონმა, რომელიც მზია დეიდად გამეცნო. ქალბატონის კეთილ სურვილებს ჩვენც შევუერთდებით და ვაკის გამგებელს წარმატებულ მუშაობას ვუსურვებთ.

**ნ.თ.**

## სოსო არჩვაძე:

# 2017 წლისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია იმ პროგრამების დაფინანსებას, რომლებიც დასაქმების ზრდას გულისხმობს...

***გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი სოსო არჩვაძე***

— საქართველო, მოგეხსენებათ, მსოფლიო ეკონომიკური პროცესების თანამონაწილეა. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გვაქვს მსოფლიოს 130 ქვეყანასთან. ამ ქვეყნების უმრავლესობის ეროვნული ვალუტა უფასურდება.

გვაქვს ეკონომიკური კავშირები აშშ-სთან, მაგრამ აშშ-ის ეკონომიკური წილი ჩვენს ეკონომიკაში საკმაოდ მწირია. ურთიერთობები გვაქვს აშშ-სთან შედარებით სუსტ, თუმცა მაღალი ინტენსივობის მქონე სახელმწიფოებთან. მაგალითისთვის, აზერბაიჯანის ეკონომიკას მოვიშველიებ, რომელიც მცირე ზომის გახლავთ აშშ-სთან შედარებით, მაგრამ აზერბაიჯანის წილი ჩვენს იმპორტში აღემატება აშშ-ის პროდუქციის იმპორტს საქართველოში. იგივე თურქეთის წილი საქართველოს იმპორტში 5-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე აშშ-ის. ამიტომაც უნდა გავითვალისწინოთ, როგორი მსყიდველობითუნარიანობა გააჩნია, აზერბაიჯანი იქნება თუ თურქეთი, მათ ვალუტას ამერიკულ დოლართან, ამაზეა დამოკიდებული იმპორტის მოცულობა და ღირებულება ამ ქვეყნებთან. ჩვენ, რა თქმა უნდა, ანგარიშსწორებას ვაწარმოებთ ამერიკულ დოლარში, იმის მიუხედავად, რომ თურქეთმა არაერთხელ დასვა საკითხი, ანგარიშსწორება თურქულ ლირაზე წარმოებულიყო, მაგრამ, ჯერჯერობით, მაინც აშშ-ის ვალუტით ხდება საქონლის ღირებულების გათვლა. თუ, მაგალითად, აზერბაიჯანის ვალუტა დაეცა ამერიკულ დოლართან მიმართებაში, ეს ნიშნავს, რომ უფასურდება აზერბაიჯანის საექსპორტო პროდუქცია. მისი ძირითადი ექსპორტი საქართველოში გახლავთ ნავთობპროდუქტები და გაზი. მოკლედ, შეიძლება, ლარიც აგრძელებდეს დაცემას დოლართან მიმართებაში, მაგრამ თუ მანათი უფრო მეტად ეცემა, ვიდრე ლარი, გამოდის, რომ ჩვენ უფრო გვიიაფდება საქონლის იმპორტი აზერბაიჯანიდან.



თურქეთის იმპორტს, მოგეხსენებათ, საკმაოდ დიდი წილი უკავია საქართველოს იმპორტში. თურქული ლირა, ბოლო წლების განმავლობაში, თითქმის 25%-ით დაეცა ამერიკულ დოლართან შედარებით, ხოლო ლარი, ჩვენი წუწუნის და უკმაყოფილების მიუხედავად, მხოლოდ 10 %-ით გაუფასურდა. ანუ თურქული ლირა უფრო გაუფასურდა, ვიდრე ქართული ლარი.

თურქული საქონლის იმპორტიც გაიაფდა საქართველოში.

ერთი შეხედვით, სასიხარულოა, რომ იაფი პროდუქტი შემოდის ჩვენთან, რაც ნიშნავს, რომ იმპორტირებული საქონელი შემოდის და მის წილად გადის ფული.

ეკონომიკის კანონზომიერებაა — თითოეული მომხმარებელი, რომელიც შეიძენს იმპორტირებულ საქონელს, თანხა შეაქვს იმ ქვეყნის ეკონომიკის გასაძლიერებლად, რომელი ქვეყნის საქონელსაც იძენს, ანუ, მაგალითად, თუ ჩვენ შევიძენთ სამხრეთ კორეულ მობილურ ტელეფონს, ჩვენ ვაძლიერებთ სამხრეთ კორეის ეკონომიკას.

მაგრამ, რაც უნდა იყოს, თუ იმპორტი მოსპობს ადგილობრივ წარმოებას, მოსახლეობას ექნება შემოსავალი, შესაბამისად, ის ვერც იაფი და ვერც ძვირი საქონლის შეძენას ვერ მოახერხებს.

საფრთხე მდგომარეობს არა მხოლოდ, ზოგადად, კონკურენციაში, არამედ ადგილობრივი წარმოების დაბალეფექტურობასა და, შეიძლება ითქვას, საერთოდ გაქრობაში.

**— ეს პროცესი წლების განმავლობაში მიმდინარეობს...**

— დიახ, მაგრამ პროცესები საკმაოდ დაჩქარდა და თუ წლების განმავლობაში ცვლილება იყო მხოლოდ რამდენიმე პუნქტით, სულ რამდენიმე თვეში 25 %-იანი ვარდნა დაიწყო, როგორც ვთქვი, თურქულმა ლირამ და ეს სერიოზული იმპულსია იმისთვის, რომ ჩვენ გარკვეული ზომები უნდა მიგვეღო.

ჩვენი კურსი რომ შეგვენარჩუნებინა ამერიკულ დოლართან, დაგვჭირდებოდა ჩვენი სავალუტო რეზერვების სულ უფრო და უფრო მეტი ხარჯვა. ბანკი დახარჯავდა ვალუტას, რომელიც, საბოლოოდ, მაინც ქვეყნის გარეთ აღმოჩნდებოდა. ეს ნიშნავს, მხატვრულად რომ ვთქვათ, მდინარე რომ შევასქელოთ, სულ უფრო და უფრო მეტი ფქვილი ჩავყაროთ შიგ.

**— იქეთკენ მივდივართ, რომ მოსალოდნელია ეროვნული ვალუტის გაუფასურება, მაგრამ რა ვუყოთ ხალხს?**

— სახელმწიფო, ამ შემთხვევაში, ვერ შეინარჩუნებს და არც არის დაინტერესებული გრძელვადიანი სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით, შეინარჩუნოს კურსი, რომელიც აქამდე ჰქონდა.

სახელმწიფოს ამოცანაა, შეინარჩუნოს ფასების მაქსიმალური სტაბილურობა, ანუ ზომიერი, მართვადი ინფლაცია და უზრუნველყოს ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებლის სიმყარე, ან გაუმჯობესება. ანუ, თუ შემოდის 100 დოლარის საქონელი, ექსპორტი კი არ უნდა შემცირდეს, არამედ უნდა გაიზარდოს. ესაა დღეს ჩვენი ამოცანა.

**— ამის მოხერხება, ალბათ, უახლოეს თვეებში ადვილი არ იქნება. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა კი მთლად სახარბიელო არ არის...**





— ადაპტირება ახალ რეალობასთან, ეკონომიკური რეფორმები, რასაც საგადასახადო ცვლილებები ახორციელებს ბოლო პერიოდში, უმტკივნეულო არც ერთ ქვეყანაში არ არის.

სახელმწიფოს, უბრალოდ, შეეძლო ყველაფერი ეს დროში გაეწელა, მაგრამ თუ კატას კუდი მაინც უნდა მოვაჭრათ, რა ჯობს — ნაწილ-ნაწილ მოვკვეთოთ თუ ერთბაშად?!

თუ აუცილებელია, ხელისუფლებამ მყისიერად უნდა მოახდინოს ცვლილებები, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა ხელისუფლებაშიც არის.

ახლახან იყო საუბრები, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის მიერ ავტომობილების იმპორტზე რეგულაციები მოგვიანებით ამოქმედებულიყო.

საქმე ისაა, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ საბაზრო-ეკონომიკური ინსტიტუტების ფორმირება, მენტალურად ჯერ კიდევ ვერ გადავედით საბაზრო ეკონომიკაზე. ჩვენი მოქმედების ალგორითმი საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი უნდა იყოს და ეს რთული ამოცანაა, ამისთვის, ალბათ, კიდევ დრო დაგვჭირდება.

გადასახადების გაზრდის ეს მკაცრი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი, დაგვეხმარება, რესურსების რაციონალური გამოყენება ვისწავლოთ. როცა საქმე გვეჩქარება, მაგალითად, ჩაისთვის წყალს ვადუღებთ უფრო მეტს, ვიდრე გვჭირდება. როცა ვისწავლით ზუსტად იმ რაოდენობის წყლის ადუღებას, რამდენიც გვჭირდება, მაშინ გაუმჯობესდება ჩვენი ეკონომიკა.

**— გასაგებია, მაგრამ რა ქნას ხალხმა, რომლებიც „ჩაისაც“ ვერ ადუღებენ?**

— 2017 წლის საბიუჯეტო პროგრამებში გათვალისწინებულია იმ პროგრამების დაფინანსება, რომელიც გულისხმობს დასაქმების გაზრდას, გათვალისწინებულია შემოსავლების ჯამური მაჩვენებლების ზრდა.

საშემოსავლო გადასახადები იზრდება დაახლოებით 24 %-ით, ეს მაშინ, როცა ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 9 %, ხოლიო შემოსავლებით ზრდა, დაახლოებით 24 %-ია, როგორც უკვე გითხარით, მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელი იზრდება. ვიმეორებ, ჩვენი მოსახლეობის შემოსავლები 2017 წლიდან იზრდება დაახლოებით ერთი მეოთხედით, რაც, რეალურ განზომილებაში, თვით ინფლაციის გათვალისწინებითაც კი მიანიშნებს იმაზე, რომ მოსახლეობის შემოსავლები მომავალ წელს უფრო მეტი იქნება, ვიდრე წლეულს იყო.

დიახ, ფასები კანონზომიერად იზრდება, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ადგილი აქვს წინააღმდეგობას, მოქმედებას, სიცოცხლეს. ჩნდება მაღალი რესურსი და ალბათობა, რომ ეკონომიკის სუბიექტებმა, პირველ რიგში, დასაქმებულმა ადამიანებმა, მიიღონ დამატებითი შემოსავალი და ამ შემოსავლებით უზრუნველყონ საკუთარი კეთილდღეობა.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

თბილისის მერის სასწაულებრივად მძიმე და „დანაშაულებრივი აღიარებით“ ბედნიერმა ჟურნალისტმა, ინგა გრიგოლიამ, ქალაქის ინტელიგენცია შეკრიბა და სატელევიზიო სჯა–ბაასი მოაწყო თემაზე – რა ჯანდაბად სჭირდებათ თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს სუფრასთან ჯდომის წესების შესწავლა...

ჟურნალისტი კარგად იყო მომზადებული – ყველა ციფრი ზეპირად იცოდა – 7200 ლარი დაიხარჯა 38 ადამიანის სამ დღიან ტრენინგზე, თითო ტრენინგი 5 საათიანია... ეს იმ დროს, როცა ქალაქში 96 297 სოციალურად დაუცველი ადამიანი ცხოვრობსო...

მიყვარს ციფრები და შევყევი ცოტა უფრო ღრმად, გავამრავლე, გავყავი და ვნახე: ეს 7200 ლარი რომ გაგვენაწილებინა სოციალურად დაუცველ ადამიანებზე, თითოეულს 0,07 თეთრი მოუწევდა... ცალკე აღებული 7200 ლარი კარგად ჟღერს, მაგრამ ერთი ადამიანის ტრენინგზე, ერთი საათის ასანაზღაურებელი თანხა 2,63 ლარს შეადგენს და თუ ასე ქუხს, რატომ არ წვიმს, ხომ ვერ მეტყვით, ქალბატონო ინგა?



# „ნეტა მომცა ერთი კეტი, რომ გასწავლოთ ეტიკეტი“



სტუმრებიც გაურკვევლობას შეეპყროთ: ერთი ამტკიცებდა ჩაცმა და სუფრასთან სხდომის (ქცევის მაინც ეთქვა) წესები ისწავლება ამ ტრენინგზეო, მეორეს – ეტიკეტი უნიტაზის ჩარეცხვისა და წვნიანის ხვრეპის წესებს ახსენებდა (უნიტაზი და წვნიანი კარგი ტანდემია ღმერთმანი)...

ისე, რაკი ციფრებზე ვსაუბრობდი ახლახანს, თქვენი ერთი გადაცემა რა თანხა ჯდება, ნეტავი? რამდენ კარგ სიუჟეტს მოამზადებდნენ ამ გადაცემის ხარჯით, იმ ტელევიზიის ხარჯით, რომელსაც ტექნიკურ პერსონალსა და ტექნიკას, პირდაპირ ეთერში, ასე „ეტიკეტურად“ უწუნებთ?... და თუ საიდუმლო არ არის, რამდენს გიხდით „რუსთავი–2“, ქალბატონო ინგა? რავი, სამჯერ ახსენეთ სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ და ისე, ძმაკაცურად არეკლამებთ?

თაკო გაჩეჩილაძე აღშფოთებულა, ხალხნოო! შეურაცხყოფილი ვარო. შეურაცხყოფილი და დაუსაქმებელი ვარ და მე თავად შემეძლო მესწავლებინა მერიისა და კანცელარიის თანამშრომლებისთვის სუფრასთან მოქცევის წესებიო... უი, თეთრი და წითელი ღვინის ჭიქებს ერთმანეთისგან არჩევთ, ქალბატონო თაკო? ეჰ, თქვენი „არხიტექტორის“ რა ვთქვი, ალბათ, რუსეთის პრეზიდენტს „პუწინს“ ეძახით... „ეხლა“ და „ახლა“–ს სწორ ფორმებზე დემაგოგიას როგორ გაგიბედავთ...

ლომის წვლილი მიმიძღვის „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მოსვლაშიო, გვამუნათებდა ერთ დროს ქალბატონი თაკო... ფაფარაშლილი გამოუშვეს 2013 წელს განათლების სამინისტროდან, განათლების მინისტრის მოადგილეობის მსურველი, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მომყვანი ლომი... როგორც ინგა გრიგოლიას გადაცემიდან გვაცნობეს – გარდა ჭამა–სმისა, ეთიკა და ესთეტიკა ყოფილა ეტიკეტი, ჰოდა, რომელი ეთიკაა – ერთ დღეს აქო და მეორე დღეს, მინისტრობის მოადგილეობამდე ვერ მიღწეულმა – აგინო, ან, რა ესთეტიკურად სანახავი ეგ არის, ქალბატონო, თაკო, ჰა? ისე, თქვენსავით მაღალფარდოვნად ვერ ვსაუბრობ და ჩემებურად გეტყვით: – რაის ლომის წვლილი, ქალბატონო თაკო? დარგო ჯაფარიძემ ის სასაცილო პაპიროსი უკვე, დაკრიფა და დაანაწილა კიდეც, თუ რა ხდება?

არ მოსულა რა ეგრეო – თქვა ქალბატონმა ინგამ... კი, ბატონო, გიჯერებთ, სად მე და სად თქვენ... ისე, „არ მოსულა“, „კი მოსულა“ და სხვა „ბირჟა–ბირჟა“ სიტყვებით რომ არ უნდა ვისაუბროთ, იმასაც გვასწავლის ეტიკეტი... პირდაპირი ეთერია, „ჩემი ცოლის დაქალების“ ჩაწერა კი არა...

გია კორკოტაშვილი ქალაქელი კაცია და ქალაქულად მიუდგა ამ საკითხსაც: – ნარმანიას პირადად ვიცნობ და კარგია კაცია, ყველაფერი არ იცის, მაგრამ დახმარება უნდაო... ასეა, ქალაქელი კაცი ნაცნობზე ცუდს არ იძახის, არ მოსულა, არა... მთავრობის ბრალია, პრემიერიდან დაწყებული კახი კალაძით დამთავრებულიო... და საერთოდ, საზოგადოების, რომელიც 20 ლარად იყიდესო...

20 ლარად ნაყიდი საზოგადოების ძვალი დაგადგეთ, ბატონო გია!

ინგას ღიმმა გადაჰკრა 20 ლარად ნაყიდი საზოგადოების ხსენებისას, სამწუხაროდ, მელორ ვაჩნაძემ არ დააცადა ბედნიერება, უგულავა, უგულავას „გულაობა“ და უგულავას „ნაშები“ შეახსენა...

წარბი აწია წამყვანმა, მკაცრი და ცივი ტონით შეახსენა ვაჩნაძეს, რომ მასზე უფრო მაღალი აზრის იყო და უსაყვედურა სიტყვა „ნაშას“ ხსენებას ჩემს გადაცემაში ვერ ავიტანო...

რატომ? უწმაწური სიტყვაა „ნაშა“, ქალბატონო ინგა?

აბა, წმაწური რომელია: გელფრენდი? საყვარელი?

მაინც რა არ მოგეწონათ „ნაშა“–ში, სიტყვა არ მოგწონთ, თუ, მისი მნიშვნელობა?

მოიცა, პირდაპირ ეთერში ვინ მოუწოდებდა მოსახლეობას, აი, იმ 20 ლარად ნაყიდ მოსახლეობას, თანამდებობის პირი, გათხოვილი და საყვარლიანი ქალების პირადი ცხოვრების დასაცავად გამოსვლას? ან, იქნებ მე ვთქვი პირდაპირ ეთერში: - მეც მყავს საყვარელი, მერე რა მოხდა-თქო? ყველას თუ საყვარელი ჰყავს და ეს თუ ნორმაა, რაღა უგულავას საყვარლებზე დახარჯულ ათასებზე საუბარია არაეთიკური ნეტავი (ეჰ, მარგველაშვილის მდიდრული სექსი არა და ამომდის გონებიდან, მარგველაშვილის მდიდრული სექსი და უგულავას მდიდრული „ნაშები“)...

მეორე მხრივ, არ მიკვირს უგულავას რომ იცავენ... უგულავა სულ სხვა იყო... მაგის გაღეღილ პერანგსა და მაგიდაზე ცეკვას ვენაცვალე, მერიის სხდომები და სტრიპტიზ-კლუბები ასე ერთნაირად მოხდენოდეს ადამიანს, ჯერ არ მინახავს... რა მოხდა, მერიის თანხებით თუ ცოლის დაქალებს „აგულავებდა“ დუბაიში? კარგი მეოჯახე და კარგი ვაჟკაცი ყოველთვის ზრუნავს ცოლის დაქალებზე...

და თაკო ჩარკვიანი ისევ აღშფოთებულია, ხალხნოო! უბრალო ადამიანი კი არ გეგონოთ, თქვენ ქალბატონი თაკო, „უმაღლესი დონის ლიტერატურა“–ზე ყოფილა გაზრდილი... რამე აკრძალულ და მაღალი ეშელონების ლიტერატურას გულისხმობთ, ქალბატონო თაკო? ჩვენ ვერ შევწვდით მაგ უმაღლეს დონეს და უმდაბლესი დონის ლიტერატურაზე გავიზარდეთ, გგონიათ?

სამოქალაქო მოძრაობას იწყებთ, როგორც გვაიმედებთ... სამოქალაქო რომ სიტყვა ქალაქისგან მოდის და ქალაქელისგან, აქამდე არ ვიცოდი, მაგრამ უკვე გავიგე და მადლობა... მოგვეხსენება, თქვენი გადამეტებული სურვილი და სიყვარული ახალი სიტყვების გამოგონების, მაგრამ ეს „გაყვინიზებული“ რას ნიშნავს – გაგვანათლეთ, გთხოვთ, თორემ დაიღალა ერი მარჩიელობით...

რა მასწავლა ამ გადაცემამ: რამდენიმე სიტყვის ახლებული განმარტება, „ეტიკეტი“ სმა–ჭამა რომ ყოფილა ისიც მასწავლა, მასწავლა, რომ „ნაშა“ ფია სიტყვაა და კარგად აღზრდილ გოგონებს „ნაშები“ კი არა, საყვარლები უნდა ჰყავდეთ; კიდევ მასწავლა, რომ ცხოვრებაში მთავარი - ბიზნესმენი ქმარის პოვნა-შოვნაა და არა სიყვარული, მაგრამ ამაზე მერე...

რა თქმა უნდა, გადაცემამ კითხვებიც დამიგროვა: როგორ და სად ახერხებს ზოგი ლომი ფაფარის დამალვას... რას ნიშნავს სიტყვა „გაყვინიზებული“? ლარი ასე გამყარდა ვერცხლთან მიმართებაში, რომ ქრთამის ფასმა 13 ვერცხლიდან 20 ლარამდე აიწია, თუ კორკოტაშვილი გვიკირკიტებს? და ბოლოს, მართლა უმარილო დო შეხვდათ ამათ, თუ, მიზეზ–მიზეზის ამბავია?

ეტიკეტი: გარეგნული იერ–სახე; საქმიანი ეტიკეტი; სუფრის ეტიკეტი; დიპლომატიური პროტოკოლი; არავერბალური ურთიერთობის ეტიკეტი, ყოველდღიური ეტიკეტი, სატელეფონო ეტიკეტი, მსოფლიოს ქვეყნების ეტიკეტი, ანუ ნაციონალური ეტიკეტი, სტუმართ–მასპინძლობის ეტიკეტი და ა.შ.

ჰო, ამას სკოლაში არ გვასწავლიან, არც უნივერსიტეტებში და არაფერია ცუდი იმაში, თუ ჩვენი საჯარო მოსამსახურეები ამ ტრენინგს გაივლიან... რადგან, 21 საუკუნეში სწორად კომუნიკაციაზე ყველაზე დიდი აქცენტი კეთდება...

მიშამ რომ განაცხადა, დიდი ხელფასი უნდა მქონდეს, რათა ძვირფასი კოსტიუმი მეცვას და საკუთარი თვითმფრინავი თუ არ მომემსახურება, ალმაცერად შემომხედავენო, ხომ მოგეწონათ? მიშას უცხოელი მასაჟისტისთვის გადახდილი სახელმწიფო თანხები ხომ არ გენანებოდათ? შერონ სტოუნის ერთი ღიმილისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მილიონები ხომ გამოგვადგა?

ეჰ, მე კი ვიცი, რა ეტიკეტის გვრემაც გაქვთ, მაგრამ, საზოგადოებას, „20 ლარიან“ საზოგადოებას, ორი რამ აინტერესებს: კამათის ხელოვნებას რომ ვერ ფლობთ და სხვისი აზრის მოსმენა არ შეგიძლიათ, აზრის კი არა, წინადადების დასრულების საშუალებასაც რომ არ აძლევთ ერთმანეთს, ეგ რომელი ეტიკეტია და მეორე, მაინც რა გეგონათ ეტიკეტი - ნეკა თითის კარგად მოკაუჭება ყავის სმის დროს?

ამ გადაცემის შემდეგ ფეისბუქში ასეთი ორსტრიქონიანი ლექსი გამოჩნდა:

**„ნეტა მომცა ერთი კეტი,**
**რომ გასწავლოთ ეტიკეტი.“**

მაგარია!

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

# სავსებით გამართლებულად მიმაჩნია, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილს საკონსტიტუციო კომისიის თანათავმჯდომარეობაზე უარი ეთქვა

***„საერთო გაზეთის“ სტუმარია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი.***

- ჩემი აზრით, მეცხრე მოწვევის პარლამენტმა მნიშვნელოვანი რეფორმები უნდა განახორციელოს, მათ შორის, სახელმწიფო მოწყობის მიმართულებით, რადგან დღემდე ვერ ჩამოვყალიბებულვართ ერთ კონკრეტულ მმართველობის ფორმაზე, ანუ საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკა უნდა იყოს, საპარლამენტო თუ შერეული მოდელის სახით უნდა არსებობდეს. დღეს შერეული სისტემა მოქმედებს, ძალაუფლება პარლამენტს ეკუთვნის, თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს სრულ უფლებამოსილებას, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის კუთხით და ამ პროცესში მნიშვნელოვანი არბიტრის როლს ასრულებს ქვეყნის პრეზიდენტი. 2004 წლის 6 თებერვალს



შეტანილმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა მთლიანად შეცვალა კონსტიტუცია, მისი ძირითადი პრინციპები იმჟამინდელი მმართველი პარტიის ინტერესებს მოერგო, მიზნად დაისახეს სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი, რამაც ქვეყანა სრულ ერთპიროვნულ მმართველობამდე მიიყვანა. ძალაუფლების ასეთმა უზურპაციამ საფუძველი დაუდო ქვეყანაში სისტემური დანაშაულის არსებობას, შექმნა დაუბალანსებელი პოლიტიკური და მმართველობითი სისტემა. ერთი პირის პოლიტიკური ნების ქვეშ გაერთიანდა, როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლება, ხოლო მმართველობის კიდევ ერთი ფორმალურად დამოუკიდებელი სტრუქტურის, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირება პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა. მთავრობას მართალია პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობდა, მაგრამ მისი შეკვეცილი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ფაქტობრივი ხელმძღვანელი პრეზიდენტი სააკაშვილი გახლდათ. უფლებამოსილების მიწურულს სააკაშვილმა პარლამენტის თანხმობით, კიდევ ერთხელ შეცვალა კონსტიტუცია, რითაც რადიკალურად შეიცვალა არსებული მოდელი, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ, პრაქტიკულად, საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი უნდა ამოქმედებულიყო, როდესაც პრეზიდენტი აღარ იქნებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, პარლამენტი იქნებოდა პირდაპირი გაგებით, მთავრობის მაკონტროლებელი, ხოლო პრემიერ-მინისტრის ცალკეულ გადაწყვეტილებებს, პრეზიდენტის თანხმობა დაჭირდებოდა. ნაციონალები თვლიდნენ, რომ ისევ თვითონ დარჩებოდნენ ხელისუფლებაში, მთავრობას ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი უხელმძღვანელებდა, მის ხელში იქნებოდა გაძლიერებული ძალაუფლება. ხსენებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, სახელმწიფომ მმართველობის შერეული სისტემა აირჩია, საპარლამენტო რესპუბლიკისკენ წავედით, როცა პარლამენტი აკომპლექტებს, ნდობას უცხადებს ან არ უცხადებს მთავრობას, ამავე დროს შენარჩუნებულია პრეზიდენტის თანამონაწილეობა მთავრობის ცალკეული გადაწყვეტილებების დამტკიცებაში. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოსული ხელისუფლება თავისი პარლამენტითა და მთავრობით იმ ნაღმის ტყვეობაში აღმოჩნდა, რომელიც ხსენებული საკონსტიტუციო ცვლილებებით ჩაიდო. როგორც კი დაიწყო რეალური პოლიტიკის განხორციელება იმ კანონებისა და წესების მიხედვით, რომელიც არსებობდა, მაშინვე იჩინა თავი ინსტიტუციებს შორის შეუთანხმებლობებმა და კონფლიქტმა. გაიხსენეთ დებატები იმასთან დაკავშირებით, ვინ უნდა წარმსდგარიყო ევროპის ცალკეული ინსტიტუციების წინაშე, პრეზიდენტი თუ პრემიერი, გაეროს სხდომაზე სიტყვით მარგველაშვილი უნდა გამოსულიყო თუ ირაკლი ღარიბაშვილი და ა.შ. ბუნებრივია, სახელისუფლებო შტოთა შორის პრობლემა, კამათის საფუძველი კონსტიტუციიდან მომდინარეობდა. მაშინდელი ხელისუფლების მიდგომა სრულიად სწორი და გამართლებული გახლდათ, როდესაც შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც უნდა მოემზადებინა ცალკეული საკონსტიტუციო ცვლილებები. სამწუხაროდ, წინა პარლამენტის დროს ეს ვერ განხორციელდა, ხსენებულმა კომისიამ ისე დაასრულა მუშაობა, რომ არ მიღებულა არცერთი საქმიანი დოკუმენტი, რომელიც შეფასებების, განსჯის და დებატების საშუალებას მოგვცემდა, რომ გაგვერკვია რა ახალი ხედვა გააჩნდა მაშინდელ ხელისუფლებას კონსტიტუციაში ცალკეული ინსტიტუციების, დათქმებისა და გარემოებების მიმართ.



**- როგორც ვიცით, მალე ჩამოყალიბდება კომისია, რომელიც კონსტიტუციის ახალ რედაქციაზე იმუშავებს.**

- დროა, საბოლოოდ ჩამოვყალიბდეთ როგორი ქვეყანა გვინდა, მათ შორის, მმართველობის ფორმის მიმართულებითაც. გადავწყვიტოთ, საპარლამენტო მმართველობა გვინდა, შერეული სისტემა თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა. არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ყველაზე მისაღებად საპარლამენტო რესპუბლიკა მიმაჩნია, სადაც მრავალპარტიული სისტემა უზრუნველყოფს მოსახლეობის მხრიდან მთავრობის დაქირავებას, ნდობის გამოცხადება-გამოუცხადებლობას, სამთავრობო პროგრამების მიმართ სწორ აქცენტებს, რაც ევროპის განვითარებული ქვეყნების დემოკრატიულობის საფუძველია. იქ პარლამენტი მოსახლეობის წინაშეა პასუხისმგებელი და მთავრობა თუ არ ასრულებს მოსახლეობის მიმართ გაცემულ დაპირებებს, სამთავრობო გეგმებს, მაშინვე ხდება მთავრობის შეცვლა, როგორც ეს რამდენიმე დღის წინ იტალიაში მოხდა, იქ უკვე ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავთ.

მე არ ვამბობ დაჩქარებული წესით, მაგრამ საპარლამენტო კომისიამ გონივრულ ვადაში უნდა მოამზადოს საკონსტიტუციო ცვლილებები, ამ პროცესში მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო საზოგადოებამ, მოხდეს საზოგადოების ხელმეორედ ინფორმირება რა ცვლილებები იგეგმება და იყოს საყოველთაო განხილვები. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობაც, რომლებსაც ცალკეული მიმართულებებით გარკვეული გამოცდილება გააჩნიათ, მათ ალტერნატიული ხედვებისა და წინადადებების წარდგენის საშუალება უნდა მიეცეთ. ჩვენ ისეთი კონსტიტუცია უნდა შევქმნათ, რომელიც ჩვენი ყველა მოქალაქისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება, კანონთა ისეთი კრებული უნდა იყოს, რომელსაც ექნება რეალური ღირებულება და დანიშნულება ევროპული მოწყობისა თუ ინტეგრაციის პროცესში. თუკი ჩვენ ვცვლით კონსტიტუციას და მასში ვაზუსტებთ სადაო გარემოებებს, მაშინ იგი ჰარმონიზაციაში უნდა მოვიყვანოთ ისეთი წამყვანი ქვეყნების კონსტიტუციებთან, სადაც ადამიანის უფლებები და ინსტიტუციური დამოუკიდებლობები გარანტირებულია, რასაკვირველია, კონსტიტუცია პირველ რიგში ქართულ სინამდვილეს უნდა მოვარგოთ. ჩემი აზრით, კონსტიტუციაში დაზუსტებას მოითხოვს სახალხო დამცველის ინსტიტუტის რეფორმირების საკითხი, რადგან ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი. მნიშვნელოვანი იქნება თავდაცვის დაფინანსების სფეროს მოდერნიზაცია, მთავრობისა და პარლამენტის ურთიერთობის საკითხი, პრეზიდენტის ინსტიტუციის როლის საბოლოო განსაზღვრა და მსჯელობა ცალკეული არჩევითი ორგანოების მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება თვითმმართველობის ორგანოებს უნდა დავუთმოთ, რადგან ქვეყანაში დემოკრატია არ იქნება, ვიდრე თვითმმართველობებში დემოკრატიული მმართველობის წესი არ იქნება შემოტანილი.

**- პრეზიდენტ მარგველაშვილს ახლა კი გასჩენია პრეტენზია საკონსტიტუციო კომისიის თანათავმჯდომარეობაზე, მაგრამ ჩვენ რა შედეგს მივიღებთ მისი საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობიდან?**

როდესაც საკონსტიტუციო კომისიის ხელმძღვანელობაზე დაიწყო საუბარი, თანათავმჯდომარეობის ინიციატივა პარლამენტიდან არ წამოსულა, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან წამოვიდა. მართალია, ერთის მხრივ მომხიბვლელია კომისიის თავმჯდომარეობა თუ თანათავმჯდომარეობა, მაგრამ პოლიტიკოსებს თავიანთი საქმიანობა და წარსულიც უნდა ახსოვდეთ. შესაბამისად, საპარლამენტო უმრავლესობის უარი პრეზიდენტის ხსენებული ინიციატივაზე იმ საფუძვლებიდან გამომდინარეც იყო, რომ პრეზიდენტს შესაძლებელია არ ჰქონოდა მორალური უფლება თანათავმჯდომარეობა განხორციელებინა. ჩვენ ამ პოლიტიკური კონტექსტიდანაც უნდა შევხედოთ ურთიერთობას. პრეზიდენტს ჰქონდა თავისი ბიოგრაფიის ხალხის ინტერესებთან დაახლოების შანსი, მისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის ცნობილი იყო, რომ მეცხრე მოწვევის პარლამენტი აუცილებლად დაუჭერდა მხარს საკონსტიტუციო ცვლილებას ოჯახის დეფინიციის განსაზღვრასთან დაკავშირებით, მაგრამ სხვა გზა აირჩია, რომელიც საზოგადოების უმრავლესობისთვის გაუმართლებელი აღმოჩნდა. პოლიტიკურ არჩევანთან დაკავშირებით, მას უნდა დაუსვათ კითხვა, თუმცა ფაქტია, რომ თანათავმჯდომარეობის შემთხვევაში, ის ვერ იქნებოდა პატიოსანი და გულწრფელი კოლეგებთან დისკუსიის დროს თუნდაც იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რატომ იღებდნენ ისინი ოჯახის დეფინიციის განსაზღვრის გადაწყვეტილებას. მოცემულ შემთხვევაში ინსტუტიურადაც სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ არც პრეზიდენტი, არც პრემიერი და არც რომელიმე სასამართლოს ხელმძღვანელი არ იქნება თანათავმჯდომარე იმ კომისიის, რომელმაც სერიოზული მუშაობა უნდა გასწიოს. პრეზიდენტ მარგველაშვილს სრული უფლებამოსილება და საშუალება ჰქონდა, რომ ეროვნული პოლიტიკოსის იმიჯი შეექმნა, საპარლამენტო არჩევნებთან ერთად დაენიშნა რეფერენდუმი, მაგრამ ეს არ გააკეთა, ვფიქრობ, კონსტიტუციაში ოჯახის დეფინიციის განსაზღვრა, კონსტიტუციის ძირეულ ცვლილებებამდე მოხდება და მას ლეგიტიმაცია ექნება, რასაც ჩემთვის, როგორც იურისტისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 77

# სააკაშვილის სახე ფეისბუქ-პოეზიაში და მანიაკი მიშისტები

**მ-ოანათებს ბუნებით თამამი**
**ი-ავარდივით ფურჩქნადი, ტანადი**
**ხ-ეირიანი ვაჟკაცი ანგელოზი.**
**ე-ლვასავით სწრაფი ტალანტი**
**ი-სტორიაში სიახლის შემქმნელი,**
**ლ-ამაზი, საუკეთესოს მომპოვებელი.**

**ს-ასიცოცხლოდ საოცრება და ოცნება**
**ა-ქაც, ყველგან მოანათებს მიშა,**
**ა-ხალი დღის მომსახურე და მზრუნველი**
**კ-ავკასიის, ამ ამაყი ერის შვილი.**
**ა-მხედრებულ, განათლებულ ამ კაცს**
**შ-ორეთიდან შემონატრის ყველა,**
**ი-რუდირებულს და ხელდასხმულს ღვთისგან.**
**ლ-ოცვილი კოლხთა კუთხით**
**ი-ა ვარდით დავულოცოთ გზები.**

მიხეილ სააკაშვილისადმი მიძღვნილი ეს ლექსი-აკროსანი ვის ეკუთვნის, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს. სხვათაშორის, არც ჯანმრთელობის ცნობას აქვს მნიშვნელობა, რადგან, ელემენტარულია, სადაც პრეზიდენტად დასმული მიხეილ სააკაშვილისთვის არავის მოუთხოვია მსგავსი ცნობა, ვის აქვს უფლება ვინმეს ჯანმრთელობაში შეიტანოს ეჭვი? ზოგადად კი, სულაც რა შუაშია ამ ლექსთან ჯანმრთელობის ცნობა, ასე არ შეჰხარიან მიხეილ სააკაშვილს მისი ფანები სიმღერით, ლექსებით, ლოცვით, ლოშნითა თუ ვედრებით?

**ჩვენ ისევ იმ დროს ველით**
**უშენოდ, ნეტავ, რა იყო?**
**ეჩვევა გული ლოდინს,**
**ფიქრებმა შორს კი წაგვიღო.**




**ყოველთვის ჩვენში დარჩები**
**და არასდროს გაქრები.**
**ესაა ასე რომ გვაშინებს,**
**ღამეც რომ არ გვაძინებს.**
**იცოდე, ჩვენი გზებით,**
**რომ ჩვენ ისევ შევხვდებით...**
**ჩვენ მხოლოდ შენ გეჯიბრებით,**
**შენა ხარ ჩვენი სამიზნე;**
**შენა ხარ ვისაც ვეტყვით,**
**რომ ვითომ შენი დრო დამთავრდა.**
**ჩვენ შენთვის ვწვალობთ იცოდე,**
**ნეტავ, სადა ხარ ვიცოდეთ...**

ეს, მეორე ლექსი პირველს ვერ შეედრება, რადგან მისი ავტორი თავადვე აღნიშნავს, გადაკეთებულია, მაგრამ ხო ასახავს რეალობას რაც მთვარიაო.

ამ ლექსების ფონზე ნამდვილად დაბალ საფეხურზე დგას ჰიმნი „რა დროშა მოგვცა მიშამა, წითელი გრძელტარიანი“ და ყველა მიშაზე შეყვარებული ქალის ლოყების ხოკვა და ისტერიული კივილი: მიშა, მოდიიიი!

## „რა დიდებულ ქალს ჰყვარებიხარ შე გლახა!“

„მიშა, შენ ხარ ხიხოს ინფარქტი, ქოცების მოციმციმე არითმია, უკრაინელი ოლიგარქების თავის ტკივილი, მოუსყიდავი, მსოფლიო პოლიტიკური ვარსკვლავი, ეროვნული გმირი, რომელმაც ტალახში სახელმწიფო მოზილა. შენ ხარ დაუმარცხებელი, რადგან საქართველოს და უკრაინის პატრიოტების უზარმაზარი ჯარი შენს გვერდით დგას და მოგყვება პუტლერთან ბრძოლაში!

შენს მოღვაწეობას მსოფლიო პოლიტიკაში ისტორია შეაფასებს და არა იაფფასიანი ვაჭრუკანა პოლიტიკანები ან დენდროლოგიური თუ ზოოლოგიური პარკების დირექტორები!

„გოუ მიშა, გოუუუ!!“ (სმაილიკი წითელი გული ანუ „მიყვარხარ!“) — კივის მეგი გოცირიძე რატომღაც უკვე ინგლისურად და არ ჩერდება. მის გაჩერებას ვინ ჩივის, არმია ჰყავს მიშაზე შეყვარებულების. შესაბამისად, ემაყებათ და ასევე „წითელი გულით“ გამოხატული სიყვარულით უყვართ მეგი ვინმე გულიკო პაიკიძეს, მზია თაბაგარს, ბელა ხუციშვილს, ნინო ნოზაძეს და ა.შ უამრავს.

ვინმე მარიამ რაზმაძე სულაც ამშვიდებს, არაფერი სჯობს სუფთა სინდისს, ღამე მშვიდად გძინავსო.

ვინმე დინარა ჯაფარიძე უფრო განავრცობს: — „მეგი, შენი საზომით ნუ ზომავ. არიან პრინციპულები და არიან უპრინციპოები; არიან გმირები და არიან სულგაყიდულები. შენ ჩვენი დროის გმირი ხარ! — ყოველგვარი პირფერობის გარეშე!“

მას მოსდევს ელისო ჭილაია ღაღადით, „მეგი, თქვენისთანა პატრიოტი რომ ჰყავდეს საქართველოს 20% ამ დღეში არ ვიქნებოდით!“

„მეგი, შენ ჩვენი და ჩვენი მომავლის იმედი ხარ!“ — წითელგულად უყვარს შოკა ელისაბედაშვილსაც. ნინო გოგია თუ ვარდების კალათის ფოტოს უგზავნის დიდი სიყვარულის ნიშნად, რომელიღაც მდედრი წითელ ტუჩებს უგზავნის წარწერით, „გაკოცეეე!“ და გულები, გულები, უამრავი წითელი გულები უამრავი მდედრისგან.

„მეგი საყვარელო, უფალი გფარავდეთ მთელ ოჯახს! იმედი გვაქვს, სინათლე გაიმარჯვებს სიბნელეზე“; „მეგი, თქვენ ჩვენი ქვეყნის მომავალს წარმოადგენთ!“ „მეგი, ხალასი და უანგარო ხარ. ვამაყობ შენით ერთგულო და უშიშარო!“ — არ აკლებს ნანა მარაული.

ვიღაც, ცოტნე დადიანის გვარ-სახელს ამოფარებული მთლად ცეცხლზე ნავთს უსხამს ქალთამშე მეგის: — „კაცმა ასლანას აჭარა აახია; ედიკას — მთელი საქართველო. ახლა, ცდილობს პოროშენკოს უკრაინა აახიოს რომ საბოლოო ჯამში პუტინს აახიოს მთელი პოსტსაბჭოეთი და თქვენ ამას პარტია გინდათ აახიოთ? ვაიმე, ვაიმე, რა პიტალოები ხართ!“

მხოლოდ ის დარჩა გაურკვეველი, ქალებს, რომლებსაც მეგი უყვართ (ირინა სარიშვილიც კი გაუფანტდა) და ჯგუფურად აბოდებენ მასზე, მეგი უყვართ თუ მიშას სიყვარულით მეგის ეხვევიან? ყველა შემთხვევაში, რა ქალს ჰყვარებია მართლა ეს მაწანწალა გლახაკი...

## „თოთო“

„მიხეილ სააკაშვილი, პოლიტიკურად მოტივირებული დევნისა და უკრაინის მოქალაქეობის მიღების გამო, აღარ არის „ენმ-ს თავმჯდომარე, ეს პოზიცია ვაკანტურია. შესაბამისად, მისი დაკავებით არ მოხდება პარტიის მისგან დისტანცირება, ან მისთვის რაიმე პოსტის „წართმევა.“ მეტიც, სამომავლოდ მისი დაბრუნება ქართულ პოლიტიკაში დამოკიდებული იქნება არა „შენახულ“ თამამდებობაზე, არამედ ენმ-ს განვითარებასა და წარმატებაზე; თავისუფალ ადამიანს არ შეიძლება ჰყავდეს უპირობო ლიდერი, პირობებიანი — კი, ბატონო. ლიდერი არ არის ყოველთვის მართალი, ის შეიძლება, ცდებოდეს, ხოლო მისი დარწმუნება საპირისპიროში და მეხოტბეობა, მასვე აზიანებს“, — თქვა „თოთომ“, ანუ ოთო კახიძემ და მტრის კარს!

ამ ფრაზის თქმა და წავიდა გადაძახილი, ხოშკაკალასავით დააყარეს ლანძღვა-გინება საბრალო „თოთოს“: „ხალხო, სასწრაფოდ გავაქანოთ ექიმთან! გზად ივანიშვილი გადაჰყრია და ტვინში ჩიპი ჩაუდგია, კარგი ქირურგია მოსაძებნი!“ „ეს იმდენად „გაქოცდა“ ეკა ბესელიას გადაუსწრო“; „ეგ მართლა „თოთო“, თვითონ ვინაა საერთოდ?“ „ტიკი-ტომარა!“ „შენ ვინ გდიხარ მაგას რომ ამბობ ახლახან შემძვრალო!“ „ენა უნდა ამოაძრო ამ ლაწირაკს!“ „თოთოა და რეებს ბედავს, ეს რომ გაიზარდოს რას იზამს!“ „გარეულმა კატამ რომ შინაური გააგდო, ისეა ამის საქმე!“ (ამის დამწერმა, საბრალომ „ქათამი“ ვერ ახსენა და კატაო); „ბატკანი მოსუქდა და მგელს შეჭმა დაუპირაო“; „ეს ტილი ფეხზე არ უნდა დაგვესვა“; „ვირის შვილი მაიმუნი!“ „პაწია დებილი!“; „თოთოია ჩერგოევნა, იდი ნა ტრი ბუკვი!“ „კისერზე პიჯაკჩამოცმული კრეტინი!“ „ეს ვისი ჭაკაჭუკია?“ „ცოცარი... იიი, აბა, ვინაა გიგა ჩერგოლეიშვილი?“ „თოთო, გირჩევნია გაჩუმდე, თორემ...“ „ხიხო ზის, ალბათ, და კვდება სიცილით, ჩვენ ხომ ვერ ვხედავთ...“

მოკლედ რომ ვთქვათ, გაიტანეს და გამოიტანეს „თოთო“ „ნაცმოძრაობის“ მიშას ფრთელებმა. „თოთომაც“ იფიქრა, ახლა რამეს, კარგს ვიტყვიო და დააზეთქა: — „ნაციონალური მოძრაობა“ გვამებით არასოდეს სპეკულირებდა!“ ეს, ახლა, სრული ჭკუა-გონებისაა?

კაცმა რომ თქვას, არ ცრუობს კაცი-ადვოკატი, არავის და არასდროს გაუგია „ნაციონალურ მოძრაობას“ ესპეკულიანტოს სანდრო გირგვლიანით, ბუტა რობაქიძით, ვაზაგაშვილებით, გიო გამცემლიძით, როინ შავაძით, გია კრიალაშვილით, სერგო თეთრაძის და ა.შ ქუჩაში, სახლში თუ ეზოში ჩაცხრილული, ან სადმე შემოდებული ან დადებული ასობით გვამით. რატომ უნდა ესპეკულიანტათ, ვიღაცას ორი გვამი თუ მოუნდებოდა ერთ რომელიმე ჯერზე, უნდა „ეშოვათ“ და სულ ეს იყო, ორი გვამი ერთ ჯერზე რა სასპეკულიანტო იყო, ორასსზე ხომ არაა საუბარი... უბრალოდ, ახლა შეცვალეს სტილი და ფეხით მოსიარულე უნებლიედ უბედური შემთხვევის მსხვერპლი რომ გახდეს, ისიც კი პუტინის დაკვეთით ბიძინა ივანიშვილის დავალებით მოკლულია...

თავისი მოკლულებით რომ არ სპეკულირებს ვინმე და ამას იყვედრება თან, რაღაც, უნიკალური მდგომარეობაა...

საბრალო „თოთო“, ეტყობა მთლად გადარია ადეიშვილზე გლოვამ...

საბრალონი!..

— „სიმართლე გითხრათ, სიამოვნებით გავუხვრეტდი შუბლს მინდია ჯანელიძეს, ვინმე ხორბალაძეს, ვინმე ორმოცაძეს და თავისთავად, ბინძურ ქვეწარმავალს, მოღალატე ტრისტან წითელაშვილს!“ — განაჩენი გამოაქვს მაია ორჯონიკიძეს.

ირმა ინაშვილს მთლად შუბლის გასახვრეტად ვერ იმეტებს, მაგრამ იმ ქვეყნის დედა კი ვატირე, ირმა ინაშვილი პოლიტიკოსად რომ ეყოლება და ტელეეკრანიდან მორალს წაუკითხავსო; ეს ქვეყანა ჩემი სამშობლო ვერ იქნება, ან ესენი უნდა ჩაირეცხონ, ან ამ ქვეყანას სასიკეთო არაფერი ეღირსებაო — კაპილარები უსკდება ისტერიკისგან „დიდ პოლიტიკოს მაიას“.

ამ ქვემძიმე ნევროზიანებთან თითქოს სახსენებელი არ არიან „ჩერგო“ და ნანუკა ნაკოდუარი, მაგრამ ისინიც კარგი ხვითოები არიან თავიანთი ბაჭაჭყანებით, თუმცა მაინც ყინვისის ანგელოზებად მოსჩანან ამ ორის ფონზე,

მაინც საიდან მოვიდა ამდენი მანიაკი მიშისტი“, მართლაც გასაკვირი არ არის?!

**გიორგი ჩხეიძე**



# „ეროვნული ბანკი“ კომერციული ბანკების მომსახურების ბიუროდ და ხელის ბიჭად იქცა

## რატომ არ ვითარდება საქართველოს ეკონომიკა? — იმიტომ, რომ ადამიანებმა სახელმწიფო ინსტიტუტი ჰაერიდან ფულის საშოვნელად გამოიყენეს.



*გვესაუბრება ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე:*

**— ბატონო დემურ, ლარი დღითიდღე უფასურდება, გამოსავალი არ ჩანს. რა ხდება, რეალურად?**

— მოდით, ასე ვთქვათ: ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ არსებობს პრობლემა რომლის თავი და თავი საქართველოს უსუსტესი ეკონომიკაა. მეორეც, როგორც ჩანს, ფულადსაკრედიტო, ასევე, საბიუჯეტო-საგადასახადო, მთლიანობაში კი მაკრო-ეკონომიკური პოლიტიკა არ ვარგა, რადგან პრობლემის ასეთი გამძაფრება ერთ რამეზე მიანიშნებს — ხელისუფლების მოქმედება არასწორი იყო. მესამე, ქვეყნის გარეთ არსებობს ობიექტური მიზეზები, რასაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ და რაც ლარის კურსზე ნეგატიურად მოქმედებს. ჩვენ უკვე თვეები, წლებია გვესმის შეუსაბამო განცხადებები, მიღებული არასწორი გადაწყვეტილებები და ზედაპირული, კოსმეტიკური რაღაც პროგრამები, რომლებიც არაფერს ცვლის. შეუძლებელია, დღევანდელი სიტუაცია გონიერე-



ბის თვალთახედვიდან, როგორც ნორმალური ისე შეაფასო. საქმე ისაა, რომ ავადმყოფობას ექიმი სიმპათია-ანტიპათიით თუ მიუდგება, აქედან არაფერი გამოვა. ასევეა ამ შემთხვევაშიც — სულ არ მაინტერესებს ვის რა მოსწონს, რა არ მოსწონს, ვინ რა პოლიტიკურ პარტიას განეკუთვნება, უბრალოდ, არის პრობლემა, რომელიც გადაჭრა საჭიროებს. გინდ ხელისუფლებაში იყავი, გინდ მისი მეხოტბე, გინდ ოპოზიცია, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, გასაკეთებელია საქმე, უმოქმედობა ქვეყნის განვითარებას უშლის ხელს და ამ პირობებში ისედაც ღატაკი ადამიანი კიდევ უფრო ღატაკდება, ეკონომიკა მკვდარია და ამ დროს, ვიღაც ორი-სამი ჯგუფი ფანტასტიკურ ფულს აკეთებს. დავსვათ კითხვა: ქვეყანა ღარიბდება, ეკონომიკა არ ვითარდება და ვიღაც ამით ძალიან კარგად ხეირობდეს, ამას რა ჰქვია?!

**— რა წვლილი მიუძღვის „ეროვნულ ბანკს“ თქვენს მიერ ზემოჩამოთვლილ პრობლემებში?**

— პირველი, მიუხედავად არაერთი მითითებისა, რომ აქ, ვაჭრობის მახინჯი წესებია, „ეროვნული ბანკი“ არაფერს იძენს — ბლუმბერგის ტერმინალზე ბანკები ვაჭრობენ. მეორე, რეფინანსირების სესხები რომელსაც „ეროვნული ბანკი“ გასცემს, საბანკო ლიკვიდურობის პრობლემის შეუსაბამოა, ბანკები ვალუტას ყიდულობენ, ამიტომ, დამატებით ზეწოლას ქმნიან. ვაჭრობა დახურულია, დაშვებული არავინ არის, „ეროვნული ბანკი“ ვაჭრობის წესებს არც ცვლის, რათა იქ ვაჭრობა ყველამ შეძლოს. მესამე, ლარის კურსს დოლართან და სხვა ვალუტებთან მიმართებაში, ბლუმბერგზე ვაჭრობის შედეგად, კომერციული ბანკები ადგენენ, „ეროვნულ ბანკს“ უბრალოდ, საშუალო არითმეტიკული გამოჰყავს, ანუ, პასიურად აკვირდება. „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტი იდიოტურ წინადადებას ამბობს, რომ ეს დაწესებულება საბაზრო ეკონომიკის მოქმედებაში არ ერევა. ასეთ რამეს ან ჩამოყალიბებული პროვოკატორი თუ იტყვის, რომ ცუდი საქმე იდეოლოგიაში შენიღბოს ან დილეტანტი, რომელმაც მართლა არ იცის როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკური სისტემა, რა როლი აქვს „ეროვნულ ბანკს“ და რას ნიშნავს ფულადსაკრედიტო პოლიტიკა. ეს ყველაფერი ერთად ჯამში იძლევა იმ სურათს რაც გვაქვს. ახლა, მძიმე მდგომარეობა არის ხომ? — ამ დროს „ეროვნული ბანკიდან“ არცერთი გონიერი წინადადება არ მოგვისმენია. მთავარი პრობლემა ასეთია: რადგან ეკონომიკა არ ვითარდება და ფანტასტიკურად ვითარდება ბანკების სიმდიდრე, ჩვენ, ვიღებთ შემდეგს — ქვეყნის მთავარი პრობლემა მაკრო-ეკონომიკაში ეკონომიკის მოცულობასთან ფულის მასის შეუსაბამობაა. ეკონომიკის ფულის მასით გადაფარვა 18%-ს შეადგენს. რა სიჩქარით უნდა იბრუნოს ფულმა, რომ მან ეკონომიკა განავითაროს და ფული, კონკურენტულ საფუძველზე, ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი იყოს. ცხადია, ფული დამალულია, იგი არსებობს პრივილეგირებული ჯგუფებისათვის, სხვებისთვის ფული არ არის და ამ დროს, ჩვენ, ეკონომიკის განვითარებაზე ვსაუბრობთ. ეკონომიკა არ ვითარდება, წელს 2,5% იქნება. რისი 2,5%? — 14 მილიარდის, ანუ, მთელი ქართული ეკონომიკა ერთი საშუალო ამერიკული ფირმის წლიური შემოსავალია. აი, ეს არის ჩვენი მდგომარეობა და ამას ვერ უშველის განცხადებები. ილუზიები ქრება, ადამიანები უკვე სერიოზული საფრთხის წინაშე დადგებიან. კერძოდ, 10 ათასობით ადამიანი კრახის წინაშეა იმიტომ, რომ იგი უბრალოდ, ვალებს ვერ გადაიხდის. ჯერ ერთი, სწორედ წლების განმავლობაში წარმოებულმა დანაშაულებრივმა პოლიტიკამ ქართული მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი სრულ კაბალაში შეიყვანა, რადგან „ეროვნული ბანკი“ კომერციულ ბაკებს არ აკონტროლებდა. მან ეს პროცესი სრულიად მიზანმიმართულად მიუშვა, ბანკები ადამიანებს სესხებს, მაპატიეთ და, დოლარში ტენიდნენ, ასე უფრო კარგიაო. როგორ შეიძლება ქვეყანაში სამომხმარებლო მიზნებისათვის სესხები დოლარში გაიცემოდეს და მეორეც, სესხები დოლარში ეძლეოდეთ ადამიანებს, რომლებსაც ამ ვალუტაში — დოლარში არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ. ყველამ იცის, ანბანური ჭეშმარიტებაა — როდესაც სხვა ქვეყნებში რაიმე ოპერაციებს ახორციელებ, ერთ-ერთი სერიოზული სწორედ სავალუტო კურსებისგან გამოწვეული რისკია იმიტომ, რომ სხვადასხვა ქვეყნის კურსები შეიძლება შეიცვალოს და შენს მიერ განხორციელებული ოპერაციები შენთვის, უკვე, მომგებიანი აღარ აღმოჩნდეს. ეს ყველამ იცის. როგორ შეიძლება ასეთ არასტაბილურ სიტუაციაში, როცა ეკონომიკა გაუმართავია, ფინანსური სისტემა სუსტია და ა.შ., ადამიანები ამ საშინელი კატასტროფის წინაშე დააყენო ანუ, მას სესხი დოლარში მისცე და მერე გადახდა უკვე კურსშეცვლილ ლარებში მოსთხოვო. თანაც, ისეთი სასესხო ხელშეკრულებებია, სადაც ბანკი არაფერს აგებს, არანაირი პასუხისმგებლობა არ გააჩნია, ყველანაირ რისკებს თავის თავზე მსესხებელი იღებს. იცით, რატომ აწერს ხელს ამ დანაშაულებრივ კონტრაქტებს მსესხებელი? — იმიტომ, რომ სხვა გზა არ აქვს, გარეთ კიდევ, მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებითა და კერძო მევახშეებით, შექმნილია ყაჩაღობა, რომლებიც დიდი ჩინოვნიკებისა და ბანკის ფულს ამ არანორმალურ პროცენტებში ასესხებენ. ამიტომ, ხელისუფლების უყურადღებობისა და მისი ხელშეწყობის შედეგად, ასეთი პირობების შექმნით ადამიანი გამოჭერილია, რის შედეგსაც ახლა ვიმკით. ეს უკვე პოლიტიკური საკითხია. ახლა, აქ, საუბარი არ არის იმაზე, რა არის ეკონომიკისთვის კარგი. ეკონომიკა ისედაც განადგურებულია და კიდევ უფრო განადგურება არ სჭირდება. ამიტომ, არასწორი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია. მაგრამ მაინტერესებს რას მოუტანს ხელისუფლებას 10 ათასობით ადამიანის გაკოტრება, ამაზე რა პასუხი აქვთ?! პოლიტიკურ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ? — მაშინ ჩათვალეთ, რომ ეს ადამიანები დაკარგავენ საცხოვრის, ათი ათასობით ადამიანი ღარიბთა ჯგუფს შეემატება.

**— მთავრობა ლარიზაციის ინიციატივით გამოვიდა. თქვენი აზრით, ეს რამდენად მომგებიანია?**

— ეს ერთი ღონისძიებაა. თავისთავად, ცხადია, ისეთი რთული და აუცილებელი რამის განხორციელება, ანუ, ის, რომ ქვეყანაში ეროვნული ვალუტა ერთადერთი საგადამხდელო საშუალება იყოს, რასაც მთავრობამ ლარიზაცია დაარქვა, ეს ეჭვს არ იწვევს. მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ყოველივე ეტაპობრივად, რა უნდა გაკეთდეს პირველ ეტაპზე, როდის იწყება და მთავრდება პირველი ეტაპი, როდის იწყება მეორე და ა.შ. ერთი ხელის მოსმით ამის გაკეთება არ გამოვა იმიტომ, რომ ეს ეკონომიკაზეა მიბმული. ეს ნელნელა უნდა მოხდეს, მაგრამ მყარად, ყველამ უნდა იგრძნოს, რომ ცვლილებების მთელი ტრაექტორია გაზომილია. ჯერჯერობით, ეს არასაკმარისია. სწორედ, არასაკმარისმა ინფორმაციამ და სპეკულაციურმა მომენტმა იმოქმედა, როცა რამდენიმე დღის წინ კურსი ერთ დღეში არანორმალურად ააგდეს. ეს თავიდან ბოლომდე ხელოვნური პროცესი იყო, ამას დაემატა აჟიოტაჟი და ძალიან საშიში მოვლენა მივიღეთ. გადის დღეები, კურსი ნელ-ნელა ქვევითკენ ცურავს. რას ნიშნავს ეს? — იმას, რომ არ გვინდა გავიგოთ, ავად ვართ და პრობლემა სასწრაფოდ გადასაწყვეტია. რაში მაინტერესებს „ეროვნული ბანკის“ სულელური გამონათქვამები. ინსტრუმენტები მის ხელშია, კეთილი ინებოს და სტაბილიზაცია მოახდინოს. არავითარი გამყარება, ეს იდიოტიზმია. რა გამყარება, რის გამყარება, ამ ყველაფერში ხომ უზარმაზარი ფულია გადახდილი. კურსი ისევ წავა იმიტომ, რომ ნდობა არ არის, ადამიანები კვლავ ვაკუუმში მოქმედებენ და ნეგატიური განწყობები აქვთ, რაც ქმნის ამას, რასაც რეალური პრობლემაც ემატება.

**— რა ინსტრუმენტებს გულისხმობთ და რატომ ვერ ახერხებს „ეროვნული ბანკი“ მის გამოყენებას, რა ხდება?**



— პირველი რაც „ეროვნულ ბანკს“ ყოველგვარი დამატებითი კანონმდებლობის გარეშე შეუძლია გააკეთოს, იგი უმაღლესი, უპირველესი კრედიტორი უნდა იყოს კომერციული ბანკებისთვის თანაც, მათი რეგულატორი და არა მომსახურე და პაიკი, რომელსაც კომერციული ბანკები საკუთარი მიზნებისთვის აბითურებენ. მას, ცივილიზებული მაკრო-ეკონომიკიდან გამომდინარე, შეუძლია ვაჭრობის წესების, კურსის დადგენა, ასევე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეუძლია კურსის დადგენა მოთხოვნა-მიწოდების ბაზარზე. დღეს „ეროვნულმა ბანკმა“ არ იცის მოთხოვნა რა იქნება. ბლუმბერგზე ორი-სამი ბანკი ვაჭრობს, გარეთ, უამრავი ორგანიზაცია ვალუტის გადახურდავებას ახდენს, რის თაობაზეც „ეროვნულ ბანკს“ მონაცემები არ აქვს, არც დღევანდელი მოთხოვნა იცის და არც ხვალინდელი.

— **ვინ მოითბო ხელი მაშინ, როცა კურსი 2,78-ზე ავიდა?**

— ხელი მოითბეს მათ ვინც ვაჭრობს ბლუმბერგზე და სავალუტო პუნქტებში. თუ გახსოვთ, პროკურატურას მივმართე, რომ აქ, საუბარია აშკარა, ინსაიდერულ ინფორმაციით ვაჭრობაზე-მეთქი, ანუ, „ეროვნული ბანკიდან“ ინფორმაცია კომერციულ ბანკებში გადის. რატომ არ ვითარდება საქართველოს ეკონომიკა? — იმიტომ, რომ ადამიანებმა სახელმწიფო ინსტიტუტი ჰაერიდან ფულის საშოვნელად გამოიყენეს. რა საჭიროა ეკონომიკა, რა საჭიროა რაიმეს კეთება, როცა შეგიძლია მაღალჩინოსანი „ეროვნულ ბანკს“ შეეკრა, კურსმა ითამაშოს, იცოდე ეს თამაში და სწორედ ამ სავალუტო ოპერაციების მეშვეობით ჰაერიდან ფული აკეთო. სხვა სახელს ამას ვერ დაარქმევთ.

— **ახლა, პროკურატურა ახსენეთ. რაც ხდება, ამით სამართალდამცავები არ უნდა დაინტერესდნენ?**

— ეს მაშინ მოხდებოდა, ცოტა დალაგებული სახელმწიფო რომ გვქონდეს და ინსტიტუტები თავის საქმეს აკეთებდნენ. ანუ, ინსტიტუტები ერთმანეთს აწონასწორებდნენ, აკავებდნენ და არა ისე იქცეოდნენ თითქოს, ჩვენ ვართ რაც ვართ და მთელი ხელისუფლება ჩვენიაო. იცით, საქმე რაშია? — მათ საუბარში არის ძალიან დიდი დილეტანტიზმი, გაიძახიან კონსტიტუციური უმრავლესობა ჩვენია, ყველაფერი ჩვენიაო. ყველაფერი რომ შენია, შე კაი დედმამიშვილო ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ინსტიტუტები ერთმანეთს არ უნდა აკავებდნენ და თამაშის წესები უნდა მოშალო, ინსტიტუტი ინსტიტუტს უნდა ჰგავდეს. პოლიტიკა თუ არ შეიცვალა, ამ საქმიდან, არაფერი გამოვა.

— **ბატონო დემურ, არჩევნებამდე „ეროვნული ბანკი“ კურსის ფორმირებაში ჩაერია, თუმცა შემდეგ, ხელ-პირი დაიბანა და ლარის გაუფასურებას მშვიდად უცქერს.**

— საქმე რაშია იცით? — ჩარევა-არჩარევის მომენტი მაკრო-ეკონომიკური პოლიტიკიდან და მიზნებიდან გამომდინარეობს. რამდენიც გინდა ჩაერიე, თუ არაფერი ვითარდება ე.ი. არასწორად ერევი. გასაგებია, არჩევნების წინ კურსის გაქცევა ხელისუფლებისთვის კარგი არ იქნებოდა, ამიტომ, ასე თუ ისე დააკავეს, თუმცა, არ მგონია რომ ეს სწორი იყო. ახლა, მივიღეთ ის, რომ „ეროვნული ბანკი“ აღარ ერევა, თურმე, თავისუფალი კურსი გვაქვს. ჯერ მხოლოდ ამ განცხადებისთვის უნდა დაატოვებინო გვენეტაძეს თანამდებობა. რას ჰქვია კურსი თავისუფალი გვაქვს და ბაზარში არ ვერევითო. ასეთ იდიოტობას ვინ აკეთებს მსოფლიოში, ერთი მითხრან.

ის რაც გვჭირს დილეტანტიზმის და აგრესიული უვიცობის შედეგია. ვერ ისწავლეს როგორ მართონ ეკონომიკა, როგორ ააგონ ფინანსური სისტემა და როგორ ფუნქციონირებს ფინანსები. ჩვენ მივჩერებივართ სხვა, გავიძახით, აი, ჩამოვა მსოფლიო ბანკის მისია, სავალუტო ფონდმა ეს გვითხრა, უცხოელმა ის გვითხრა. ესაა დილეტანტიზმი, სხვა არაფერი. სავალუტო ფონდიც და მსოფლიო ბანკიც საქართველომ წესით უნდა გამოიყენოს სწორედ კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, მეცნიერული მიზნებისთვის, მაგრამ ასე არ ხდება. ზოგადად, მათი მისიები საქართველოში უნდა დასრულდეს იმიტომ, რომ სხვანაირად არაფერი გამოვა. ამ ჭაობიდან, ჯერჯერობით, ვერ ამოვედით. ვერავითარი სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები, რომლებიც არ შეესაბამება ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას, ეკონომიკის მოთხოვნებს და განვითარების მიზნებს, ამ საქმეს ვერ უშველის.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24




# ნარკოტიკების და ნარკომანიის ლეგალიზების მსურველებმა ომი გამოუცხადეს საქართველოს

საკამათო არაა, რომ ნარკომანია გახლავთ ავადმყოფური ლტოლვა ნარკოტიკული ნივთიერებისადმი, ნარკოტიკები კი ანადგურებენ ადამიანის ჯანმრთელობას. ნარკომანია, როგორც მედიკოსები ამბობენ, სენი, დაავადებაა, რომელიც ზიანს მხოლოდ მომხმარებელს კი არა, ოჯახის წევრებს, საერთოდ, საზოგადოებას აყენებს.

პირსისხლიანი „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდის დაწყებისთანავე ნარკოტიკებით ვაჭრობა შსს-ის მაღალჩინოსნების კონტროლს ექვემდებარებოდა. მათი ხელდასხმის გარეშე ნარკოტიკებით ვაჭრობას ვერავინ გაბედავდა. შსს-ის ყველა უწყებას, სოდ-ს, კუდ-ს, კრიმინალურ პოლიციას თავისი ე. წ. „ბარიგა“ ჰყავდა და მფარველობდნენ. თუმცა, აქვე სათქმელია, რომ შიდა უწყებრივი „კონკურენცია“ იყო და ნარკომომხმარებლების საშუალებით ცდილობდნენ თავის გამოჩენას, რაც რომელიმე „ბარიგის“ დაპატიმრებით გამოიხატებოდა. თუ ნარკომომხმარებელი არ დათანხმდებოდა თანამშრომლობაზე, ასეთ შემთხვევაში ისევ მას იჭერდნენ.

ღამის კლუბებში ლამის ოფიციალურად იყიდებოდა სხვადასხვა სახის ნარკოტიკის შემცველი თუ სტიმულატორი აბები. პირადად მე შემთხვევით მოვისმინე ფილარმონიის ტერიტორიაზე ორი ახალგაზრდის, სავარაუდოდ, 20-22 წლის მეგობრების საუბარი. სამწუხაროდ, კლუბის დასახელება ვერ გავიგონე, სამაგიეროდ, ის გავიგე, რომ ერთ-ერთ კლუბში ბილეთის ფასში „ექსტაზიც“ შედიოდა, რომელსაც ახალგაზრდები ლუდს აყოლებდნენ. იმის წარმოდგენაც კი, რისი გამოწვევა შეუძლია მსგავს ნაზავს, ნორმალურ ადამიანს შეძრავს.

ფსიქოტროპულ პრეპარატებზე მოთხოვნილება, ჩვენდა საუბედუროდ, დღესაც დიდია. განსაკუთრებით 15-22 წლის ახალგაზრდები ეძალებიან. შედეგი სავალალოა — ათეულობით დაღუპული და ჭკუიდან გადასული გოგო-ბიჭი. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამის შესახებ არავინ საუბრობს, ყველა გაყუჩებულია — სამართალდამცველებიც და ადამიანის უფლებათა დამცველებიც.

ჩვენი კანონმდებლობით, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება მკაცრად ისჯება. გამოდის, რომ მოხმარებასთან ერთად გასაღებაც უნდა დავაკანონოთ.

მართალია, „გირჩი“ ჯაფარიძე, როდესაც ამბობს, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული კანონმდებლობა გადასახედი და შესაცვლელია, ჩვენი აზრით, კანონი გასამკაცრებელია გამსაღებელთა მიმართ. რაც შეეხება თავად ნარკომანებს და მათ მკურნალობას, ამის შესახებ თავად დარგის სპეციალისტებმა უნდა იმსჯელონ. ამ აზრს იზიარებს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, რომელმაც განაცხადა, რომ პრობლემა რთულია და ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, განსაკუთრებით დარგის სპეციალისტების შორისო.

ვიმეორებთ, ძნელია, გაიმეტო ადამიანი საციხედ, მით უფრო, ავადმყოფი. თუმცა ავადმყოფს შველა, მკურნალობა რომ სჭირდება, ამას არავინ უარყოფს. ასეთი ადამიანებისთვის სამკურნალო, სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნაა საჭირო, რაც იოლი ნამდვილად არ იქნება.

ნარკომანიის დაკანონებალეგალიზაციით, ადვილი შესაძლებელია, ერი გადაშენების პირამდე მივიდეს. ამის გარდა, „აბრეშუმის გზის“ ამოქმედების შემთხვევაში, საქართველო ნარკოტრანზიტის ქვეყნის სტატუსს შეიძენს, სადაც უამრავი ჯურის დამნაშავეები მოიყრიან თავს, რა „სიკეთესაც მოგვიტანენ“, ძნელი წარმოსადგენი სულაც არ უნდა იყოს.

უცნაურია, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის წარმომადგენლები ახლა გახდნენ ჰუმანურები და ვითომ ხალხის სასიკეთოდ ითხოვენ ნარკომანიის ლეგალიზაციას. თუ მათ დაავიწყდათ, ხალხს ახსოვს, როგორ იჭერდნენ და 7 წლით უშვებდნენ ციხეში ადამიანებს თუნდაც ცარიელი შპრიცის გულისთვის. ბოლოლა ნარკობარონ-ბარიგებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში ამყოფებდნენ. თუმცა მთავარი ნარკობარონები ხომ იმდროინდელი ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ ჯერ კიდევ „მოქკავშირის“ პერიოდიდან.

ნარკოლოგებს პირადად ჩემთვის კულუარულად აქვთ ნათქვამი, რომ მათი უხეში გამოთვლით, საქართველოში 2000 წელს ნარკოტიკებში მილიარდნახევარი (!) აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა დაიხარჯა!

წერილზე მუშაობისას მოვისაკლისე ერთბაშად 12 ნაცნობი ადამიანი, რომლებიც მოკლე დროში დაიღუპნენ „პერედოზით“. მინახავს მომხმარებელი, რომელიც საკუთარი იმ დღეს წყევლიდა, როდესაც პირველად მიიღო ნარკოტიკი. მინახავს ნარკოტიკებით გამწარებული ოჯახები.

ნარკოტიკების და ნარკომანიის ლეგალიზების მსურველებმა ომი გამოუცხადეს საქართველოს მოსახლეობას, რისი შედეგიც კატასტროფული იქნება თუ ქვეყანა ერთ მუშტად არ შეიკრა და ამ ფარისევლებს საკადრისი პასუხი არ გასცა.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# ბულაძეები, დეისაძეები, ქარუმიძეები და სხვები, აგრეთვე მათი დამფინანსებლები, უნდა მოიკვეთონ, ისინი საქართველოს გარყვნილებაში მიაქანებენ

## ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან



— **მამაო, როგორც ვიცი, მთელი ცხოვრება უსამართლობას ებრძვით. არადა, უსმართლობა არ ილევა...**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულის წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი.

90-იან წლებში ერთადერთი მღვდელი ვიყავი, რომელმაც შევიფარე ღვთივრჩეული პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** მომხრეები. ზვიადის მოღვაწეობის რამდენიმე თვის მანძილზე იგრძნო ქართველმა, რომ საკუთარ მიწაზე ცხოვრობდა და თავისი მეობა გააჩნდა. ხანმოკლე აღმოჩნდა ეს სიხარული, რამეთუ ანტიქრისტეს მოციქულებმა არტილერიით განდევნეს პრეზიდენტი მშობლიური მიწიდან. ამის შემდეგ ღვთის სასჯელია ჩვენზედ მოწევნული. სწორედ ბატონი ზვიადის ოცნება იყო, მოწვეულიყო საქართველოში 1103 წლის მსგავსი







რუის-ურბნისის კრება და განწმედილიყო საქართველოს ეკლესია ქვაბ-ავაზაკთაგან.

დღეს ამერიკიდან თავსმოხვეული, კოჰაბიტაციით გაძლიერებული პირსისხლიანი სააკაშვილის ლეკვები, სატანური სექტის წარმომადგენლები 27-ნი სხედან პარლამენტში, ხოლო თვით სააკაშვილი უგუნურ ღამურასავით დაფრინავს სხვადასხვა ქვეყნებში და ყველასგან მოძულებული მალე თავშესაფარსაც ვერ იპოვის ვერსად.

— **სააკაშვილი უკვე ჩვენი ქვეყნის წარსულია, მამაო.**

— დღევანდელ ხელისუფლებას, ხალხმა აუსრულა ოცნება, კიდევ ერთხელ მიანიჭა ნდობის მანდატი, კიდევ ერთხელ ანდო მათ საქართველოს ბედი. სამაგიეროდ, რა მივიღეთ?

სად გაქრა დაპირებები? გამაოგნებელია მათი საქციელი. არა უშავს, ჩვენ კვლავ წამოვიმართებით, რამეთუ ადამიანთაგან განწირულს, ღმერთი არ მოატოვებს.

ნუთუ **მამუკა ხაზარაძემ** და მისთანა სისხლის მწოველმა ბანკირებმა უნდა მართონ საქართველოს ბედი? ნუთუ **ალექსანდრე ჯეჯელავამ** უნდა განაგოს განათლების სისტემა? არ უნდა დამთავრდეს არაპროფესიონალთა ყოფნა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ნუთუ სექტანტების დამცველი უჩა ნანუაშვილი თვით სექტანტი უნდა განაგებდეს ადამიანის უფლებათა დაცვას, კაცი, რომელიც მართლმადიდებლების გარდა ყველას იცავს?

— **მამა ბასილ, იმაზე რა აზრის ხართ, სატანური სექტები რომ გააქტიურდნენ?**

— ჩემო კარგო, სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გამრავლდა სატანური დაჯგუფებები. სულ ახლახან საზარელი ფაქტი მოხდა. რა უნდა დაუშავოს დედამ შვილს, 18 წლის გოგონას, რომ თანამზრახველებთან ერთად საკუთარი დედა მოკლას? სატანისტთა ამ დაჯგუფებამ ადრეც ჩაიდინა მსგავსი დანაშაული, მაგრამ ხმა არავინ ამოიღო, რის გამოც მათი რიცხვი გაიზარდა. ბოროტებამ იმატა. ეს ყველაფერი ჩვენი ბრალია იმიტომ, რომ ხმას არ ვიღებთ.

ჩემი ინფორმაციით, ამ სატანური დაჯგუფების ლიდერია ვინმე ბექა შენგელია, რომელიც სანამამ დანაშაულს ჩაიდენდა, მანამ ციხეში სასჯელს იხდიდა ბავშვის გაუპატიურების გამო. იქიდან გამოსვლის შემდეგ კი თანამზრახველებთან ერთად „შეყვარებული" გოგონას დედა მოკლა, ნაჯახით დაანაწევრეს. ამ ქალბატონის ხორცი შეწვეს, შეჭამეს, დანარჩენი კი ნაგავსაყრელზე დაწვეს. შენგელია ხშირად გამოდიოდა ტელეკომპანია „იმედზე" გია ჯაჯანიძის შოუში და გათავხედებული აქეთ ილანძღებოდა. წარმოიდგინეთ, მეტად სამწუხაროდ, დარბაზში საკმაო მხარდამჭერები გამოუჩნდა. ყოველივე ამას ემატება ის, რომ „ნაცმოძრაობის" ეგზალტირებული ჯგუფი ითხოვს ნარკოტიკული ნივთიერებების ლეგალიზაციას, ეს ხომ პირდაპირ ერის გადაგვარებაა. მიზანი ერთია, ბავშვობიდანვე მოუწამლონ ფსიქიკა, გახადონ მართვადი, დააზომბირონ და საბოლოოდ ერი ისე გადააგვარონ, ქართველი აღარ არსებობდეს.

„ნაცმოძრაობის" ნაშიერებმა: **ზურაბ ქარუმიძემ, გია ბულაძემ, დეისაძემ** და სხვებმა ახლახან მორიგი შოუ გამართეს რუსთაველის პროსპექტზე. მოითხოვდნენ მარიხუანას და სხვა ნარკოტიკების ლეგალიზაციას. ისე გათავხედებულნი არიან, რომ აშკარად აცხადებენ, ადამიანები ისე თავისუფალნი უნდა იყვნენ, რასაც მოისურვებენ, ის უნდა გააკეთონო. დეისაძე, ქარუმიძე და მისნი მსგავსნი ხალხმა უნდა მოიკვეთოს, რამეთი მათგან შეიძლება მრავალი ახალგაზრდა დაავადდეს და დაავადდეს იმ სენით, რასაც ჰქვია ამორალიზმი, გარყვნილება და გადაგვარება.



ტელევიზიებში სასულიერო პირებიც ხშირად სხედან, რატომღაც, სათანადო პასუხს ვერ მიაგებენ უზნეოებს. მე თავს ვიკავებდი, მივსულიყავი ტელეეთერებში, მაგრამ ახლა, იქიდან გამომდინარე, რომ ეკლესია დუმს, იძულებული ვხდები, თვით გამოვიდე ეთერში და ვთქვა სათქმელი, რამეთუ, როცა ხედავ, ბოროტებას სჩადიან და დუმხარ, თანამონაწილე ხდები დანაშაულის. მით უმეტეს, ღვთის მსახური.

— **მამაო, როგორ ფიქრობთ, ხომ არ არის მისაღები კანონი, რომ ეს მეტად მტკივნეული საკითხი გადაიჭრას?**

— ვინ უნდა მიიღოს კანონი. მთავრობა ჩვენზე უკეთ არ ხედავს, რაც ხდება? საქართველო სულიერად ასეთი დაცემული, მე მგონი, არც ერთ პერიოდს არ ახსოვს. ნუთუ ყოველმა ხელისუფლებამ კონსტიტუცია თავის სურვილზე უნდა მოირგოს? ვინ უნდა მიიღოს კანონი, **გიგა ბოკერიამ**? რომელმაც თავისი „მოღვაწეობა" სექტანტების დაცვას მოანდომა და მართლმადიდებლებს ქვებით დასდევდა? ბოკერიამ, რომელმაც ციხეში ბუნტის დროს 8 კაცი მოკლა. ამჯერად თავის გამზრდელს, სატანა **სააკაშვილს** უღალატა და „ოცნებას"



შეეკრა, რათა არ დაიჭირონ. ბოკერია და მისნაირები მიიღებენ საკეთილდღეო კანონს, რომლებსაც ხელები უდანაშაულო ადამიანთა სისხლით აქვთ გათხვრილი? ჩვენ არაფერი გვეშველება, სანამ ღვთისმოშიში ხელისუფლების მეთაური არ გვეყოლება, რამეთუ მხოლოდ სულიერება გვიხსნის ყოველგვარი განსაცდელისგან.

ახლა ცოტა თემას გადავუხვევ, ვისარგებლებ თქვენი გაზეთის ფურცლებით და ერთ მტკივნეულ საკითხს შევეხები.

დღეს ეკლესიებსა და კულტურის ძეგლებს მთავრობის წარმომადგენლები რატომღაც სათანადო პატივს არ მიაგებენ. თბილისში ჩვენი ეკლესია, რომელიც გლდანის „ა" მ/რ-ნში მდებარეობს, ყველაზე დიდი მოცულობისაა სამების შემდეგ და ამშვენებს ამ რაიონს. ეს ხომ სულიერი ტაძარია მომავალი თაობისთვის და სხვა ეკლესიებთან ერთად საქართველოს სიმდიდრეა.

ქალაქის მერიამ იმდენი მოახერხა, რომ ტაძრის გალავნის ირგვლივ მრავალსართულიანი კორპუსები ააშენა. ახლა დარჩა სამხრეთის მხარე, სადაც ამ დღეებში გაიყიდა ნაკვეთი გალავნიდან 5 მ-ის მოშორებით, ისევ კორპუსის ასაგებად, ეკლესია კორპუსებს შორის მოექცა და მთლიანად დაიკარგა ტაძრის იერსახე.

**მივმართავ ქალაქის მერს, ბატონ ნარმანიას! გეყოთ, რაც გააკეთეთ, თუ რაიმე ქრისტიანული შეგრჩენიათ, სასწრაფოდ შეაჩერეთ კორპუსის მშენებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ აცდებით უფლის სასჯელს.**

დაბოლოს, ჩემო კარგებო, გარწმუნებთ, მიუხედავად ჩვენი ქვეყნის სარწმუნოების მტრების ყოველგვარი მცდელობისა ერის, სარწმუნოების წინააღმდეგ, ვერაფერს გახდებიან, რამეთუ ჩვენ ახლა ავდივართ საშინელი დაბრკოლებების საფეხურებზე, უკიდეგანო განუკითხაობის, ურთიერთდაპირისპირების, განსაცდელების ლაბირინთებში, მაგრამ ავივლით ჩვენ ამ საფეხურებს, გავივაკებთ და სწორედ იქ ელოდება იბერიას გაბრწყინება. მთავარია, გავუძლოთ, ვიცხოვროთ ღვთის შიშით.

ღმერთმა დაგლოცოთ.

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18

## ვაჟა ხაჭაპურიძე:

# დღეს მოქმედი კონსტიტუცია ისეა დამახინჯებული, რომ ვერ გაიგებ, ქვეყნისთვის არის ის შექმნილი, თუ ხელისუფლებაში მყოფთათვის



***ჩვენი რედაქციის სტუმარია ცნობილი საზოდო მოღვაწე, წარსულში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე და შიდა ქართლის გუბერნატორი, ვაჟა ხაჭაპურიძე.***

**- ბატონო ვაჟა, ჩაიარა საპარლამენტო არჩევნებმა, ახალი პარლამენტი შეუდგა მუშაობას. ორიოდე სიტყვით, რა იმედებს ამყარებთ ამ საკანონმდებლო ორგანოზე?**

- რას ველოდებით პარლამენტისგან და თავად პარლამენტარებისგან? პარტიები ხელისუფლებაში მოდიან აღლუმით, მიდიან პანღურით. პარლამენტარებს ხომ მხოლოდ კანონების დამტკიცება ევალებათ და მეტი არაფერი. ნაცვლად იმისა, რომ მთელი ყურადღება გადავიტანოთ მთავრობის საკადრო საკითხებზე, კერძოდ, რომ მთავრობის შერჩევა ხდებოდეს მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებით, რომელთა მეშვეობით განხორციელდება მთელი რიგი სირთულეების მოგვარება, საპარლამენტო ციებცხელებაში ვკარგავთ დროს და ენერგიას. ხმამაღლა მინდა განვაცხადო: არა პარლამენტი, არამედ სწორი საკადრო პოლიტიკის განხორციელება წყვეტს ქვეყნისა და ხალხის ბედს! სწორედ, რომ მთავრობის ხელშია ყველა დარგობრივი სამსახურის მართვის მექანიზმი; მთავრობის დირექტიული მასალებით უნდა ხორციელდებოდეს სამუშაოთა წარმოების მთელი ციკლი. მთავრობის თავმჯდომარე კი გახლავს დირიჟორი სამინისტროების მესვეურთა შემადგენლობისა მისმიერვე შემუშავებული სახელმწიფო განვითარების პროგრამითა და ორგანული კანონით.

**- „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღო პარლამენტში. რამდენად წაადგება ეს ჩვენ სახელმწიფოს?**

- საკონსტიტუციო უმრავლესობის არსებობა იმიტომ არის კარგი, რომ დღევანდელი ხელისუფლება საკუთარ შეცდომებს და ჩავარდნებს ველარავის გადააბრალებს. ახლა კი, რაც შეეხება თავად კონსტიტუციას. სადღეისოდ არსებული კონსტიტუცია აუცილებლად არის შესაცვლელი. მაგრამ, ამ პარლამენტს აქვს უნარი ახალი კონსტიტუციის შექმნისა? „ახალ კონსტიტუციას“ იმიტომ ვამბობ, რომ დღეს მოქმედი კონსტიტუცია იმდენად არის დამახინჯებული და სახეშეცვლილი, რომ ვერ გაიგებ, ქვეყნისთვისაა ის შექმნილი, თუ ხელისუბლებაში მყოფთათვის. ახალი კონსტიტუციის შექმნას წინ უნდა უძღოდეს ისეთი კომისიის ჩამოყალიბება, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ უმაღალესი კვალიფიკაციის პროფესიონალები. მხოლოდ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მთავარი კანონი მიიღებს უკვდავების სტატუსს, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ხანმოკლე დროის მკვდრადშობილ დოკუმენტს, რომელსაც ხელმეორედ გადახედვა დასჭირდება. მაგალითისთვის, მისასალმებელია მაჟორიტარული წესით არჩევის გაუქმება, პრეზიდენტის არჩევა ხელისუფლების წიაღში და არა საყოველთაო არჩევნების გზით; ასევე, გადასახედია სახელისუფლებო და სამთავრობო სტრუქტურა. არ არის საჭირო სამინისტროების სიმრავლე. კარგი იქნება, თუ გადაიხედება რეგიონალური და ადგილობრივი თვითმართველობის სისტემა. ძალზე სასურველია, გაუქმდეს გუბერნატორის ინსტიტუტი. ამ ეტაპისთვის, სასწრაფოდ შესამცირებელია სახელმწიფო მოხელეთა რიცხვი 30 პროცენტით მაინც. უზომოდ გაბერილია შტატები, რომელსაც არანაირი სიკეთე არ მოაქვს არც ქვეყნისთვის და არც საქმისთვის. რა საჭიროა ამდენი მუქთადმჭამელი? მხოლოდ იმისთვის, რომ ხელმძღვანელ პირთა ნათესაობა იყოს დასაქმებული? ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო გაჩერებულია თითქმის ყველა საწარმო, აღარ არსებობს მძიმე და მსუბუქი მრეწველობის დარგები, ფაბრიკა-ქარხნები. განადგურების პირასაა სოფლის მეურნეობა, მასში არსებული დამხმარე ორგანიზაციები, კერძოდ, აგრომელიორაცია, სოფტექნიკა, სოფმშენი, აგროსამრეწველო ბანკი. აღარ არსებობს ჯიშების გამოყვანის სასელექციო სანერგე მეურნეობები და სხვა უამრავი. ფაქტია, რაც დრო გადის უფრო და უფრო უარესდება ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობა. სამწუხაროდ, ნაცვლად იმისა, ქვეყნის აღმშენებლობაზე ვიფიქროთ, მთელი ყურადღება გადატანილი გვქვს პარლამენტზე და საპარლამენტო არჩევნებზე. მთელი ქვეყნის შემოსავალი ასეთ უაზრო მანიპულაციებზე იფლანგება.



**- რა ვქნათ, არ ავირჩიოთ პარლამენტი?**

- უნდა ავირჩიოთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი სისტემის პარლამენტი სულაც არ ესაჭიროება სახელმწიფოს ისედაც მწირ ბიუჯეტს.

**- მაშ, როგორი სისტემის პარლამენტს გულისხმობთ?**

- პარლამენტის ნაცვლად უნდა ჩამოყალიბდეს უზენაესი საბჭო. დეპუტატი, რომელიც განთავისუფლებულია შრომითი ვალდებულებისგან და მხოლოდ სადეპუტატო უფლებებით სარგებლობს, უზენაესი საბჭოს საწესდებო პროგრამით, ეს უფლებები უნდა ჩამოერთვას და პარალელურ რეჟიმში უნდა დასაქმდეს; ანუ, ის ვალდებულია იშრომოს თავისი სპეციალობით და ამავდროულად იყოს უზენაესი საბჭოს დეპუტატიც. თუ ჩვენ წარსულს გადავხედავთ და ჩავიხედავთ უზენაესი საბჭოს საქმიანობაში, ნათლად დავინახავთ ასეთ სურათს - უზენაესი საბჭოს დეპუტატები გახლდნენ მაღალი პროფესიისა (მეცნიერები, კულტურის მუშაკები და ა.შ.) და მაღალი შრომითი მაჩვენებლების პირები. სადეპუტატო უფლებამოსილებასთან ერთად, ისინი, ამავდროულად, შრომის ვახტაზე იდგნენ და ქვეყნის მატერიალურ სიმდიდრეს ქმნიდნენ. მათ არც მანქანები ემსახურებოდა და არც ფეშენებელური აპარტამენტები ჰქონდათ. თვეში ასი მანეთის სანაცვლოდ ირჯებოდნენ და ეს მაშინ, როცა ქვეყნის შემოსავალი 85 მილიარდ მანეთს შეადგენდა; სადაც ერთი კილოგრამი თეთრი პური 30 კაპიკი ღირდა, ბენზინი კი - 7 კაპიკი. სწავლა-განათლება და ჯანდაცვა უფასო იყო, სანატორიუმში დასასვენებლად, ლამის, იძულებით აგზავნიდნენ და ეს უჯდებოდა დამსვენებელს 7-14 მანეთამდე. ამ თანხაში შედიოდა სამჯერადი კვებაც.

მე ეს დრო იმიტომ შეგახსენეთ, რომ ქვეყანა მხოლოდ შრომით იქმნება, მხოლოდ შრომით შეიძლება მოვიპოვოთ ის, რაც ხალხს სჭირდება.

**- ბატონო ვაჟა, დღეს ბევრს აწუხებს ლარის კურსისვარდნა, რასაც მოჰყვა ეკონომიკური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?**

- ძალიან სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ჩვენი ფულად-საკრედიტო საბანკო სისტემების ჩვენივე მყარი ვალუტით გამაგრება. როდემდის გვინდა ვიყოთ დოლარის სატელიტური პარტნიორი? როდემდის უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დოლარზე დამოკიდებული? დროა, ვიზრუნოთ ამ უბედურების მოშორებაზე და შედეგიც უკეთესი გვექნება.



**- კიდევ, რაში ხედავთ გამოსავალს?**

- გამოსავალი მხოლოდ ერთია - დავბრუნდეთ დსთ-ში და დავამყაროთ მჭიდრო კავშირურთიერთობა რუსეთთან. საქართველოს განვითარებისთვის და აღმავლობისთვის სხვა გზა არ არსებობს.

**გიორგი კორძაძე**
571 77 61 95

# ძლიერი რეგიონები ძლიერი


ჩოხატაური

## ჩოხატაური — თვითმმართველობა მაღალმთიან დასახლებებში

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენლებმა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა-საკრებულოს თანამშრომლებისა და მაღალმთიანი სოფლების (ზოტი, ჩხაკაურა) წარმომადგენლების ინფორმირების მიზნით, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს.

„მაღალმთიან დასახლებებში თვითმმართველობის განვითარება მეწარმეობის განვითარების მეშვეობით" — ეს პროექტი, როგორც მისი დასახელებიდანაც ჩანს, ითვალისწინებს მოსახლეობის ინფორმირებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს თვითმმართველობა და მეწარმეობა ერთმანეთის პარალელურად და ერთმანეთის ხელშეწყობით.

## ვანი — სავარძელი-ეტლები ბენეფიციარებისთვის

საერთაშორისო ასოციაციის — „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" — მხარდაჭერით ვანის მუნიციპალიტეტის 52 ბენეფიციარს დამხმარე სავარძელი-ეტლი გადაეცემა.

ასოციაციის ხელმძღვანელის, მაია კვეზერელი-კოპაძისა და ქეთევან გოგელიას ხელშეწყობით ეტლი უკვე გადაეცა სალომიანოს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ 5 წლის ლიკა მეფარიშვილს.

## საჩხერე — მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეშა 28 ოჯახს მიუტანა

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უკიდურესად შეჭირვებულ 28 ოჯახს შეშა გადასცა. გასათბობად გამოსაყენებელი სამერქნე მასალა საჩხერის მუნიციპალიტეტს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანების (№-549) საფუძველზე გადაეცა. აღნიშნული მასალა გამგეობის თანამშრომლებმა შეჭირვებული ოჯახებისთვის დაამუშავეს.

თითოეულ ოჯახს 3 კბ. მ. შეშა შეხვდა. მათ შორის არიან სოციალურად დაუცველი, უკიდურესად შეჭირვებული და დევნილის სტატუსის მქონე ოჯახები.

გამგეობამ მოსახლეობის დასახმარებლად ამჯერად 17 661,9 ლარი გამოყო.

## წითელი ჯვრის მოხალისეთა საერთაშორისო დღე დედოფლისწყაროში

წითელი ჯვრის მოხალისეთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს წითელი ჯვრის საზოგადოების პირველადი ჯანდაცვის კლინიკაში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერითა და „საქართველოს წითელი ჯვრის" ფილიალის საექიმო კაბინეტის ხელმძღვანელის ორგანიზებით, სოციალური აქცია გაიმართა. სოციალურად დაუცველი ოჯახების სკოლის ასაკის ბავშვებს ჩაუტარდათ ლაბორატორიული კვლევები (სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი), ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპიური, კარდიოლოგიური, თერაპიული და მხედველობასთან დაკავშირებული გამოკვლევები. პაციენტებს შესაბამისი რჩევები მიეცათ და გაიგზავნენ დამატებით ლაბორატორიულ გამოკვლევებზე.

უახლოეს პერიოდში „საქართველოს წითელი ჯვრის" ამგვარი სოციალური აქციით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხვა სოფლების სკოლის მოსწავლეებსაც შეეძლებათ სარგებლობა.

## ლაგოდეხი — კართუბნის თემში განხორციელებულ პროექტებზე 2 მილიონი ლარი დაიხარჯა

კართუბნის თემში შემავალ სოფლებში — ბოლოკიანში, კართუბანსა და ნაწისქვილარში დასრულდა შიდა გზების რეაბილიტაცია. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა და მისი ღირებულება დაახლოებით 2 მილონი ლარია. ადგილობრივების თქმით, აღნიშნული პროექტით თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პრობლემა გადაიჭრა და 2000-მდე მოსახლის გადაადგილება უსაფრთხო გახდა.

გარდა ამისა, სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობისა და არსებულ არტეზიულ ჭაბურღილებზე დაერთების სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა სოფელ კართუბანში. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, რომლითაც სოფელში მცხოვრები 1000-მდე მოსახლე სარგებლობს. განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კახა ჯამბურიამ გამგებლის წარმომადგენელ იოსებ ვარდიაშვილთან ერთად დაათვალიერა.

## მალთაყვის სანაპირო ზოლზე ბულვარის მშენებლობა აქტიურად გრძელდება

მალთაყვაში, ზღვის სანაპირო ზოლზე ინტენსიურად მიმდინარეობს ბულვარის მშენებლობა-კეთილმოწყობის სამუშაოები, რომლისთვისაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გამოყოფილია 4 მილიონ 180 ათასი ლარი.

პროექტის მიხედვით, მიმდინარე წელს ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ მოეწყო შიდა მომსახურების გზა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს საკანალიზაციო კომუნიკაციების, ტროტუარების მოწყობის სამუშაოები.

პროექტის სრული ღირებულება 18 მილიონ 507 ათას ლარს შეადგენს.

მთლიანი თანხიდან 2015 წელს მილიონ 500 ათასი ლარია ათვისებული, 2016 წელს კი 2 მილიონ 680 ლარის სამუშაოები ხორციელდება.


საჩხერე

## ინფრასტრუქტურული სამუშაოები მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილემ გიორგი გოროზიამ ადმინისტრაციული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა, სამუშაოს ზედამხედველებს გაესაუბრა და პროექტის მიმდინარეობაზე დეტალურ ინფორმაციას გაეცნო. პროექტის ფარგლებში აშენდა კაპიტალური ადმინისტრაციული შენობები დოშაყეს, გურძემისა და აბედათის, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა კიწიის, ონოღიის, ვედიდკარის, სერგიეთის, ნახუნაოს, ხუნწის, თამაკონის, ინჩხურისა და ტალერის ადმინისტრაციულ შენობებს. პროექტის ფარგლებში შემოიღობა ეზო, გამოიცვლა კარ-ფანჯრები, მოწესრიგდა გარე ფასადი, სახურავზე მოეწყო წყალსაწრეტი მილის წყალშემკრები და სხვა.


მარტვილი

სამუშაოები განხორციელდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით და მისმა ღირებულებამ 144 163 ლარი შეადგინა.

## წალენჯიხა — ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის ინფრასტრუქტურული პროექტის პრეზენტაცია

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც წარმოადგინეს ესტონეთის კულტურის სამინისტროს მიერ რეკომენდებულმა წამყვანმა ექსპერტებმა: ოტტ სარაპუუმ და ანდრუს კორესაარმა.

პრეზენტაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ანთიძე და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი ლევან შონია ესწრებოდნენ.

ეს სტრატეგიული გეგმა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ენერგეტიკის სამინისტროს და შპს „ენგურჰესის" დირექტორთა საბჭოსთან, ასევე ესტონეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობის შედეგად მოამზადა.

პრეზენტაციის მიხედვით, ენგურჰესის კაშხლის ინფრასტრუქტურა მოიცავს გადასახედ მოედნებს, საბაგირო გზას, სამეცნიერო და აღმოჩენათა ცენტრს, ღია საკონცერტო სივრცესა და მსოფლიოში არსებულ ყველაზე მაღალ ლიფტს კაშხალზე; განვითარების კონცეფცია ასევე განიხილავს კაშხლის გამოყენებას სხვადასხვა საინსტალაციო-წარმოსახვითი ღონისძიებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ პროექტი ხორციელდება სვანეთისკენ მიმავალ გზაზე, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ტრასაა. ამ მიზნით შემუშავდება ტურისტული მარშრუტები ენგურჰესის თაღოვან კაშხალზე.

სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავს არა მხოლოდ ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის მიმდებარე ტერიტორიის, არამედ რეგიონის ინფრასტუქტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. პროექტი ათწლიანია და მისი განხორციელება 2017 წლიდან დაიწყება.

ენგურჰესის თაღოვან კაშხალს ინდუსტრიული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2015 წელს მიენიჭა, რაც ქვეყნის ინდუსტრიული მემკვიდრეობის განვითარების, მისი მნიშვნელობის გააზრებისა და ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

# საქართველოსთვის




### დმანისი — სავარძელ-ეტლები და საკვები პროდუქტები შშმ პირებს

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგი ბარბაქაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ლერი ბერუაშვილმა, გამგებლის მოადგილემ არიფ სულეიმანოვმა, გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა მეგი ედიბერიძემ და გამგებლის წარმომადგენელმა ქალაქ დმანისის ადმინისტრაციულ ერთეულში ემზარ პეტრიაშვილმა პირადად მოინახულეს ქალაქ დმანისში ვაჟა ეზეიშვილის, სოფელ ბოსლებში გიორგი იასაღაშვილის, სოფელ ტნუსში რაგიმ კასიმოვის ოჯახები და მათ გადასცეს გადაადგილებისთვის დამხმარე სავარძელ-ეტლები შშმ პირებისთვის, ასევე საკვები პროდუქტები.

სავარძელ-ეტლები დმანისის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის კოორდინაციით მუნიციპალიტეტის გამგეობას გადასცა საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“.

საკვები პროდუქტები გადასცეს ასევე საქართველოს უსინათლოთა კავშირის დმანისის ფილიალის 27 წევრს.

### ქედა — გამგებელი ცხმორისში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს გაეცნო

დავით დუმბაძე ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელსა და გამგეობის თანამშრომლებთან ერთად სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს გაეცნო.

„დასრულდა საავტომობილო გზების გაწმენდა თერთმეტი მიმართულებით: სოფელ ცხმორისში, სადაც სოფელი მთლიანად იყო გარესამყაროს მოწყვეტილი, სოფელ კოკოტაურში 20 ოჯახთან მისასვლელი გზა, ასევე სოფელ აბუქეთაში დამეწყრილი საავტომობილო გზა. ავტომობილებით მოძრაობა დროულად აღდგა. გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ გეგელიძეებში, ახოსა და დოხოძეებში. დაფიქსირდა საცხოვრებელი სახლების საკარმიდამოს მიმდებარედ პატარ-პატარა მეწყრული პროცესებიც. სახლებს საფრთხე არ ემუქრება. გამგეობის მობილური ჯგუფი ადგილზე სწავლობს ვითარებას. უახლოეს დღეებში მოვიწვევთ გეოლოგებს და მუნიციპალიტეტიც მათი დასკვნის შესაბამისად მიიღებს გადაწყვეტილებას. ელექტროენერგიის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა მერისის სამ სოფელში. ამ დროისთვის მუნიციპალიტეტს შეუფერხებლად მიეწოდება ელექტროენერგია. სიტუაცია მართვადია“, — აღნიშნა დავით დუმბაძემ.

საგზაო დეპარტამენტის ქედის წარმომადგენლობის მიერ საავტომობილო გზები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინტენსიურად იწმინდებოდა. მუნიციპალიტეტში მობილიზებულია მობილური ჯგუფები, რომლებიც ოპერატიულად რეაგირებენ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

### შუახევი — თემებში არსებულ ვითარებას ტარიელ ებრალიძე პირადად გაეცნო

მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე დღვანის, უჩამბის, ოლადაურისა და შუბნის ადმინისტრაციულ ერთეულებში იმყოფებოდა. შეხვდა მოსახლეობას და პირადად გაეცნო თემებში არსებულ ვითარებას.




დღის განმავლობაში გზებზე თოვლის საფარისგან გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობდა მარეთის, ზამლეთისა და ჭვანის მიმართულებით. გაიწმინდა ტბეთი-გოგაძეების საავტომობილო გზაც. სამუშაოები განახლდა წყალსაყრის მიმართულებით.

მოსახლეობა უზრუნველყოფილია შეშითა და სურსათით.

გამგეობაში საგანგებო შტაბი 24-საათიან რეჟიმში კვლავ აგრძელებს მუშაობს. ამოქმედებულია ცხელი ხაზი: 0 800 100 108

### ქობულეთი — ხუცუბნისა და სოფელ ქობულეთის საბავშვო ბაღები საზეიმოდ გაიხსნა

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტში შარშან ოთხი ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა კვირიკეში, მუხაესტატეში, ბობოყვათსა და ქაქუთში, რისთვისაც ბიუჯეტიდან მთლიანობაში 666 496 ლარი დაიხარჯა

ამჯერად კი აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ მუნიციპალიტეტის გამგებელ სულხან ევგენიძესთან ერთად სოფელ ხუცუბნისა და სოფელ ქობულეთის საბავშვო ბაღები საზეიმოდ გახსნა. სტუმრების პატივსაცემად საბავშვო ბაღებში კონცერტები გაიმართა.

სოფელ ხუცუბანსა და სოფელ ქობულეთში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ორსართულიანი სკოლამდელი დაწესებულებები აშენდა. პროექტის ფარგლებში მოეწყო საძინებლები, გასართობი ოთახები, სველი წერტილები და დარბაზები, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა. ასევე კეთილმოეწყო ეზო, სადაც საბავშვო ატრაქციონები დამონტაჟდა. თითოეული საბავშვო ბაღი 105 აღსაზრდელზეა გათვილი, სადაც 17-17 ადამიანია დასაქმებული. ინფრასტრუქტურული პროექტისთვის ჯამში 874 000 ლარი დაიხარჯა.

დღეის მდგომარეობით ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც 2 140 აღსაზრდელი იღებს სკოლამდელ განათლებას. საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებულია 398 ადამიანი.

# არ შეიძლება ქვეყნის მთელი ენერგია არჩევნებს ხმარდებოდეს

ჩვენი გაზეთის გასული კვირის ნომერში გამოქვეყნდა ანზორ ბაბუხადიას ღია წერილი სათაურით: „მოყვარეს პირში უძრახე“, რომლის ადრესატები გახდნენ ე. წ. ინტერპარტიული ჯგუფის წევრები.

წერილს მხარდამჭერთა და მოწინააღმდეგეთა გამოხმაურებები მოჰყვა. ამ თემასთან დაკავშირებული ყველაზე აქტუალური შეკითხვები თავად ანზორ ბაბუხადიას დავუსვით.



**— ბატონო ანზორ, იქნებ ძალიან მოკლედ მოგვახსენოთ, რა მიგაჩნიათ ქვეყანაში ჩასატარებელი არჩევნების შედეგების შეფასების უმთავრეს კრიტერიუმად?**

— კრიტერიუმი კი არა, უპირველესი მოთხოვნა ის უნდა იყოს, რომ მომავალში საქართველოს პარლამენტი დაკომპლექტდეს ხალხის მიერ არჩეული უმაღლესი რანგის სპეციალისტებით და არა პირადი ერთგულების პრინციპით შერჩეული პიროვნებებისგან. საგაზეთო ინტერვიუში ამ პრობლემის ავკარგიანობაზე დეტალური მსჯელობა შეუძლებელია. იგი მომავლისთვის გადავდოთ და ვიმსჯელოთ ჩვენს ოპონენტებთან ერთად მათთვის მისაღებ ნებისმიერ ფორმატში.

არაერთ ჩემს პუბლიკაციაში ხაზგასმით მაქვს დაფიქსირებული, რომ პარლამენტის წევრები უნდა იყვნენ სათანადოდ განსწავლული და არა ფულით გაზულუქებული პირები, რომელთაც კანონშემოქმედებასთან არასდროს არანაირი შეხება არ ჰქონიათ. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ფულიან და უფულო კანდიდატს უნდა ჰქონდეს სააგიტაციო საშუალებების გამოყენების თანაბარი შესაძლებლობები. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ სუბიექტს, მათი ფინანსური, მატერიალური და სხვა რესურსების მიუხედავად, აეკრძალებათ ამ მიზნით თუნდაც ერთი ლარის დახარჯვა. მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის უმკაცრესი კონტროლის პირობებში უნდა მოხდეს ნებისმიერი სახელისუფლებო რესურსის პროპორციული პრინციპით განაწილება და ხარჯვა. ამ მოთხოვნის აღსრულების მექანიზმის თაობაზე, მზად გახლავართ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან გავმართო საქმიანი შეხვედრები.

**— ბატონო ანზორ, ქვეყანა თითქოს არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობს და მთელი ენერგია და რესურსები ამ პროცესს ეწირება.**

— თქვენს შეფასებებს სრულად ვიზიარებ. არჩევნებამდე თითქმის ერთი წლით ადრე, ქვეყანაში არანორმალური მდგომარეობაა. არავის არაფრისთვის არ ცხელა და თავიანთ უმოქმედობას არჩევნების პროცესითY დაკავებულობას აბრალებენ. ფაქტები გნებავთ? კი, ბატონო, 2016 წელი გამოცხადებული იყო რუსთაველის სეიუბილეო წლად. წელი დამთავრდა და ამ უსერიოზულესი საქმისთვის ხელისუფლებამ ვერ მოიცალა. რა თქმა უნდა, ცალკეული რეგიონული და რუსთაველის საზოგადოების ინიციატივით ჩატარებულ მოკრძალებულ ღონისძიებებს არ ვგულისხმობ. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ არჩევნებმა გამოიწვია ქვეყნის პარალიზება.

მომავალში ანალოგიური, კურიოზული შემთხვევები რომ გამოირიცხოს, არჩევნები ან სხვა პოლიტიკური ღონისძიება უნდა ჩავატაროთ დინჯად, ყოველგვარი ხელოვნური აჟიოტაჟის გარეშე. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა სათანადო ღონისძიებების გატარებით ჩავაცხრობთ პარლამენტში მოხვედრისადმი გაფეტიშებულ დამოკიდებულებას. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდება, თუ პარლამენტის წევრებს მოეხსნებათ ყოველგვარი იმუნიტეტი და პრივილეგია, პენსიები და სხვა გამოგონილი დანამატები დაენიშნებათ მხოლოდ და მხოლოდ ქვეყანაში საყოველთაოდ მოქმედი განაკვეთების ფარგლებში.

**— რა აზრის ბრძანდებით წინასაარჩევნო პერიოდში ე. წ. პრაიმერთა და საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელთა შესახებ?**

— პირდაპირ გეტყვით, რომ წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა და პოლიტიკურ პარტიათა ან ცალკეული პიროვნებების რეიტინგის „დადგენა“ არ არის გამართლებული, რადგან ისინი, როგორც წესი, ტარდება რომელითაც დაინტერესებული მხარის ძალისხმევით და მიმართულია ამომრჩეველთა დეზორიენტაციისკენ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# 2107 წლის საშინელი სენსაცია, რომელიც შეაძრწუნებს მთელ მსოფლიოს

დღეს ვატიკანი ცდილობს ერთად აიღოს ის, რასაც ადრე იღებდა ცალობით. ვატიკანმა უკვე „გადაყლაპა“ მთელი კონფესია უკრაინაში. „უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია“ და მზად არის დაიქვემდებაროს სხვა ადგილობრივი კონფესიებიც, პაპი ჯერ იცდის, თანდათანობით არაფორმალურად იბირებს მათი მრევლის სულ უფრო და უფრო დიდ ნაწილს, რათა დროთა განმავლობაში გააფორმოს საკუთარი ძალაუფლება მათზე. დღეისათვის მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის რიგებში იმყოფება რომის პაპის ფაქტობრივ მომხრეთა მეოთხედი ნაწილი, მათ შორის სასულიერო პირებშიც და ეპისკოპატშიც. ისინი გამოდიან კათოლიკური კალენდრის შემოღებისთვის, მარხვათა მოსპობის ან შემცირებისთვის, ტოლერანტობის იდეებით



სოდომისა და ეკუმენიზმისადმი, რითაც გამოირჩევა დღეს კათოლიკური ეკლესია. ვატიკანი „მუშაობს“ არა ერისკაცებთან არამედ სასულიერო სასწავლებელთა სტუდენტებთან, რომელთაც შანსი გაუჩნდათ უფასოდ ისწავლონ ვატიკანის სასწავლებელში. მავანთა დახმარებით, საქართველოშიც თავგამოდებით ცდილობენ, თავიანთ მხარეს გადაიბირონ ქართველი მართლმადიდებლები, პაპისტები შეუდგნენ საქართველოს მთელი მართლმადიდებელი ეკლესიის რადიკალურ გადაკეთებას, მის ორიენტირებას რომის პაპთან ეკუმენისტური დაახლოების მიზნით. ძნელი წარმოსადგენია რა ძალის ზეწოლა უნდა განხორციელებულიყო საქართველოს კონსერვატულ პატრიარქზე და მის ეპისკოპატზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს „მსოფლიო“ კრებაზე გატანილი ზოგიერთი საკითხის ჩაშლაში, რომ ესოდენი თავაზიანობით შეხვედროდნენ პაპ ფრანცისკს.

კავკასიური მოგზაურობის დასასრულს, თვითმფრინავში მიცემულ ინტერვიუში პაპმა ფრანცისკმა მიანიშნა, თუ როგორ შეეცდებიან საქართველოს ეკლესიის დაპყრობას - „ერთმანეთისთვის ლოცვა ეს არის ყველაზე მთავარი. შემდეგ, ერთობლივი მუშაობა. ჩვენ ერთად ვმუშაობთ ღარიბთათვის, არსებობს უამრავი სხვადასხვა პრობლემა და რატომ არ უნდა ვითანამშრომლოთ ერთად მათი გადაწყვეტისთვის?“ აქ აღნიშნულია ორი მომენტი. პაპისთვის მნიშვნელოვანია მართლმადიდებლურ ტაძრებსა და მართლმადიდებლურ ღონისძიებებზე კათოლიკე ქსენძების მუდმივი დასწრება. ანუ კანონით აკრძალული ერთობლივი ლოცვის დამკვიდრება მწვალებლებთან და სხვაგვარად მორწმუნეებთან და კიდევ ქველმოქმედება, რომლის მომიზეზებით პაპისტები ხშირად ახორციელებდნენ და ახორციელებენ პროზელიტიზმს. ორივე მიმართულებით პაპისტებმა „შედეგიანად“ იმუშავეს უკრაინაში. საქართველო დღეს აშშ-ს და ევროკავშირის პროტექტორატია და საქართველოს ეკლესია იმყოფება ძალზედ მძიმე სიტუაციაში და სავარაუდოდ დასავლეთის ზეწოლა კიდევ უფრო გაძლიერდება. ვატიკანი ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კავკასიას, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონს, სადაც რუსეთის სამხრეთის მხრიდან შეიძლება შეექმნას სერიოზული პრობლემები. სომხეთის კონფესიის დაპყრობაში ვატიკანმა სამწუხაროდ მიაღწია წარმატებას. სომხეთში პაპის ტრიუმფალური ვიზიტის წინააღმდეგ საერთოდ არავინ გამოსულა, თუმცა ეს ვიზიტი აშკარად საწინააღმდეგო იყო სომხური საეკლესიო კანონების. პაპი ფრანცისკი აზერბაიჯანსაც ეწვია თუმცა მუსლიმური აზერბაიჯანი ვატიკანის პოლიტიკისთვის ისე მნიშვნელოვანი არ არის, როგორც საქართველო და სომხეთი. აზერბაიჯანში პაპისტებს არაფერი უთქვამთ „ქრისტიანთა ერთობაზე“, როგორც ეს იყო საქართველოში ან უკრაინაში. აქ რომის პაპი არიგებს დაპირებებს აზერბაიჯანის მთავრობა „ჩაამონტაჟოს“ დასავლურ სამყაროში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ლიბერალიზმის იდეოლოგიის მიღების გზით, რისთვისაც ითხოვს უარის თქმას განთქმულ „ფუნდამენტალიზმზე“ ...იეზუიტების სიცრუე და პირმოთნეობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ვატიკანში იუწყებოდნენ, რომ საქართველოში პაპ ფრანცისკის ჩასვლა მოხდებოდა დევიზით „მშვიდობა თქვენდა“იტალიური იეზუიტური ჟურნალის რედაქტორი ანტონიო სპარადო თავის წერილში აღნიშნულ ვიზიტთან დაკავშირებით ამბობდა, რომ „რომის პაპი არ აპირებს პოლიტიკური საკითხების წამოწევას, ეს ვიზიტი ჩაივლის შერიგების ნიშნით“ და ახალი ეტაპი გახდება ფრანცისკის „მოწყალების დიპლომატიისა“. მაგრამ, როდესაც უყურებ „ძმა ფრანცისკის“ ყველა ნაბიჯს, სახარება გახსენდება „როცა იტყვიან მშვიდობა და უშიშობაო, სწორედ მაშინ დაატყდებათ თავზე სიკვდილი“ (თესალონიკ 5:3) პაპს ბრწყინვალედ ესმის ოჯახის ინსტიტუტის ეტაპობრივი განადგურების მნიშვნელობა. ამიტომაც ჰომოსექსუალისტების მხარდაჭერა მოზომილად გაისმა. როდესაც მოცემულ ვიზიტის ფარგლებში მას ჰკითხეს ჰომოსექსუალისტებისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ, მან უპასუხა - „თუკი ასეთი მიდრეკილებების მქონე ადამიანი წარსდგება იესუს წინაშე, იესუ არ ეტყვის მას: წადი აქედან, იმიტომ რომ შენ ჰომოსექსუალისტი ხარ“...

მიმდინარე თვის დასაწყისში, რომის პაპმა ფრანცისკმა ვატიკანში მიიღო აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი. რომელიც მონაწილეობას ღებულობს იტალიის დედაქალაქში მიმდინარე ფორუმში „ხმელთაშუაზღვის ქვეყნების დიალოგი“. როგორც იუწყებიან ეს შეხვედრა შედგა თვით კერის დაჟინებული მოთხოვნით. როგორც ვატიკანის რადიო იუწყებოდა პაპის შეხვედრა კერისთან შედგებოდა ორი ნაწილისაგან. პირველი იყო ოფიციალური. მასმედიისა და საზოგადოებისათვის, ხოლო მეორე-არაოფიციალური . ამ უკანასკნელ ნაწილში კერისა და პაპის მოლაპარაკება, რომელიც დახურულ კარს მიღმა გაიმართა „მოლაპარაკებათა ოთახში“ ნახევარი საათი გრძელდებოდა. მასმედიისა და საზოგადოებისთვის განკუთვნილი ოფიციალური ნაწილი ნაჩვენებია მოკლე სიუჟეტში, ეს არის კერის მისვლა პაპთან, უმნიშვნელო ოფიციალური ღონისძიება, ფოტოგრაფირება და დამშვიდობება პაპთან. მაგრამ, ეს საზოგადოებისთვის! როგორც ინსაიდერული წყარო იუწყება, იყო არაოფიციალური ნაწილიც. იმის შემდეგ, რაც პაპი დაემშვიდობა კერის და მათ ოთახიდან გასვლისას ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, კერი მიიწვიეს პაპის სპეციალურ „მოლაპარაკებათა ოთახში“, რომელიც დაცულია ყოველგვარი ელექტრონული მოსმენისაგან. სწორედ ამ ოთახში გაიმართა კერისა და პაპის საიდუმლო მოლაპარაკება. საუბრის დეტალები უცნობია, მაგრამ ოთახიდან კერის გამოსვლის შემდეგ ყველამ შენიშნა პაპის აღელვება და ისიც, რომ რაღაცით იყო დათრგუნული. ერთ--ერთ თავის უახლოეს თანაშემწესთან ერთად პაპი ვატიკანის საიდუმლო არქივში ჩავიდა სადაც რამოდენიმე საათი დაჰყო და იქიდან კიდევ უფრო დათრგუნვილი და აღელვებული ამოვიდა. ამის შემდეგ ის მდივანთან ერთად კვლავ განმარტოვდა სპეციალურ ოთახში რაღაც საიდუმლო დოკუმენტის მოსამზადებლად. როგორც წყაროსთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, პაპი ამზადებს“მოწოდებას ეპისკოპოსთა, მღვდელმსახურთა და ყველა მორწმუნე ერისკაცთამი“ ჯერ უცნობია ამ მოწოდების დეტალები, მაგრამ როგორც წყარო ირწმუნება , ეს იქნება 2017 წლის საშინელი სენსაცია, რომელიც შეაძრწუნებს მთელ დედამიწას და სრულიად შეცვლის მათ ცხოვრებას. ვარაუდობენ, რომ რომის პაპი ამ მოწოდებას გაავრცელებს იანვარში. არსებობს მოწოდების თემის რამოდენიმე გაუხმაურებელი ვერსია, მაგრამ ფაქტია რომ ის დაიბადა ჯონ კერისგან მიღებული ინფორმაციისა და პაპის მიერ ვატიკანის საიდუმლო არქივში ჩასვლის შემდეგ. ასე, რომ 2017 წლის დასაწყისში ახალ სკანდალურ სენსაციას უნდა ველოდოთ.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30



# ბათუ დანელია – პოეზია

## ზანათს – ჩემ სოფელს

მიყვარს, ჩემო გამომზრდელო,
ბზარიც შენი ლიბოსი,
ათას ხელის გამომწვდელო,
ათასივეს გიკოცნი.
მე თბილისში მიტევს დროდა
ყველა ვარამს შევები...
შენ ბებერი ჩემი ოდა
გაგკრთობს ცუდი რხევებით...
ვწუხ, თუ გხედავ საბრალობელს,
ვფრენ, თუ გხედავ კარგადმყოფს.
მტკივა, დედის ზაფრანების
მძივები რომ არგამკობს...
სულ ვისიზმრებ შენს თემშარას,
ყველა სახლს და ნალიას.
ვერაფერმა ვერ შემშალა,
შენს მთვარეზე ძალიან...
თუკი გული უტკენიათ,
დე, მატკინონ ისევე!..
გავიღვიძებ უთენია
და ცრემლამდე ვიხსენებ
შენს ზეწრებზე ნახულ კინოს,
აკრძალული დასწრებით...
შენმა ძაღლმა რომ მიკბინოს,
არც კი გავუბრაზდები...

## ბედნიერებაზე მეტი

როცა აფხაზეთში დავბრუნდებით,
სისხლი არ იქნება მწვეთავი...
ჩვენი ნაცხოვრები საბუდრებიც
დაგვიბრუნდებიან, ნეტავი?!

როცა აფხაზეთი გაგველება,
როგორც განწმენდილებს კარიცის,
გული, სიხარულის ბაღებიდან,
რას სჭექს – აღარავინ არ იცის...

უაფხაზეთობით, პლანეტაზე,
ვგავართ უმარიტო გედიას,
ვისთვის დაბრუნება მარიტასი –
ბედნიერებაზე მეტია!

როცა დავბრუნდებით, აყვავებულ
ნატვრის, მოლოდინის ნაკვთებად,
ჩვენი მამა–პაპის საფლავები
ნუთუ დაკარგული დაგვხვდება!

ნუღარ გავახსენებთ გაბრაზებულ
გულს, რომ სასწაულად გვაწვალეს...
იქნებ პატრონობენ აფხაზები
ჩვენი წინაპრების საძვალეს!

გვთიშეს ეშმაკების დაკრულებმა,
როგორც მარიტა და გედია...
ჩვენთვის აფხაზეთში დაბრუნება
ბედნიერებაზე მეტია!

## უხილავი ქალი

მაშორებს შარის ნარშავს,
მიფარავს, როგორც ფარი,
ქალი, რომელიც არჩანს
და მუდამ ჩემთან არი.

ჩემთვის უხმებოდ გალობს,
მისი ლოცვებიც დამაქვს...
და უხილავი ქალის
ვგრძნობ უანგარო ამაგს.

მაძლევს სულიერ სარჩოს
და არაფერში მზღუდავს
ქალი, რომელიც არჩანს
და ჩემთან არი მუდამ.

ნოყიერს მიხდის ხემსებს,
მწუხარეს მაქცევს ლაღად,
ყოველთვის ზრუნავს ჩემზე
და ერთხელ ვერვინ ნახა.

ჩემ კვართს უკეთებს სარჩულს,
როცა მჩხვლეტს ყინვის ნარი,
ქალი, რომელიც არჩანს
და მუდამ ჩემთან არი.

## შორიდან

ტკივილებს ვპირდები ბრენდობას,
ბრენდობას ელოდონ სევდებიც...
ვერაფერს ვუხერხებ კენტობას,
კენტობის წვიმაში ვსველდები.

ცხოვრებაც, ხანდახან, „ათრაქებს“ –
მიწუნებს ახლებულ კომბლებსდა
მეც მისი შაშის და ჭადრაკის
ყოველდღე თამაში მომბეზრდა.

სიბერეს შორიდან ვაფასებ:
მეორე მხარეა ბალღობის...
ღვინოდან გადავალ ფაფაზე,
თოვლივით დავიწყებ გალღობას...

დავრჩები ძვლები და ნეკნები —
სადარი გავხდები კრამიტის...
სურვილი მრავალი მექნება
და ერთსაც არავინ ამიხდენს.

მეც აღარ ვინაღვლებ, სრულიად,
ჭირს, სიბერისაგან გალექსილს,
თუ ისევ მექნება სურვილი
ქალის და ლექსების ალერსის.

## ციკლიდან „ჯვალოები“

## დარდების შესახებ

ვარ, როგორც სახლი, ვერასდროს დალაგებული —
ჩემში სულ ჰყრია აწმყო ხმელ ბალახებივით
და ჩემშივ მუდმივ დარდების მალაყებია...
არ მშორდებიან მე, როგორც ყინვა არქტიკას,
არც გამაჩნია დარდებთან ბრძოლის პრაქტიკა
და მცლიან, როგორც სუფრაზე არაყებიან
ჭიქებს და მომლხენ დარდებით მთვრალი დავდივარ.

არადა, სხვებმა დარდები ბრძოლით დახოცეს,
ხოლო მე დარდებს ვადარებ ღმერთის ნაბოძებს
და, ზოგჯერ, გულშიც ჩავიკრავ, შუბლზეც ვაკოცებ.
უდარდოდ ვგავართ ხეხილებს აუყვავებელს,
მებაღენი რომ დროდადრო დაუყვავებენ...
ვდარდობდეთ ნიშნავს — გამოგვყვა კაიკაცობა...
და კაიმგლებიც არიან, კაიყვავებიც...

## ციკლიდან „ნახევარჯვალოები“

## სულ ერთია

არფას რა, პირველს შეურხევენ სიმს თუ ბოლოსიმს,
ან როდის ავჭრით, რა ფასი აქვს ამას ღოლოსთვის! –
ის ხომ ვერასდროს ვერ გახდება ძეგლი, კოლოსი!
რა მნიშვნელობა აქვს დროისთვის, სახლში იატაკს
როგორ დავაგებთ, ან – თუ გვათრობს სუნი იათა,
ან ვინ იმღერებს – ეს დომინგო თუ ის კალასი! –
ეს ხომ დროისთვის სულ ერთია! სულერთიადა...

ეს გული სწორედ ამისათვის ვეღარ დამშვიდდა,
დრო კი მიფრინავს ხან კაჭკაჭად, ხანაც ნარჩიტად
და ოპტიმიზმი სულ ამაოდ მოფრენს მარშიდან...
აღარაფერი მოაქვს დროსთან ახალ დიალოგს,
ძველებურ შხამით იელიც კი ვეღარ იელობს,
თვითონ დიდებაც გამხვევია უკვე შარშიდა
არც უკვდავებას უჩანს რამე სახარბიელო...



## სამი დროის გემი

ვერ ვუპატრონე ბოლომდე ჩემთავს,
დაღლილს, დაბნეულს ბედის სირთულით.
და ახლა ვდგავარ მელნისფერ გემთან,
რაც თითქოს თოვლით ჩანს დატვირთული.

ვიდრე ამ გემში სამ დროს შევიტან,
მის ბორტს ვუყურებ ნახატებიანს
და რაც თოვლივით მოჩანს გემიდან –
დაუწერელი ქაღალდებია...

## ბევრის თქმის შესახებ

რაც მეტს ვამბობთ, მით უფრო ვეღარაფერს ვამბობთ.
უთქმელობა გვიფარავს, როგორც სამბისტს — სამბო...
ბამბა ვისი ჩხრიალებს, ნუღარც ამას ვამბობთ
და ჩხრიალა კაკალიც გვიჯობს გავაბამბოთ.
მშვიდად იყავ, გვირისტო, არ შეშინდე, ლამბო! —
ვეღარავინ დაგარღვევთ, თუ არაფერს ამბობთ.
რამ შეშალა გოგოლი? რამ — ტერენტი? რამ — პო?
რამ და თქმამ ყველაფრისამ! მაშ ნურაფერს ვამბობთ!
თქვენ კი რა გენაღვლებათ – უფლება გაქვთ, ტრამპო,
თქვათ, რაც გინდათ, ხოლო ჩვენ, ჯობს, ნურაფერს ვამბობთ!

## ბავშვის ნატვრა

ნეტავი მყავდეს პატარა ბავშვი! —
მისთვის უარვყოფ საამო ჩვევებს.
დავბან, დავვარცხნი, საბავშო ბაღშიც
მე წავიყვან და მოვიყვან მევე.

მისთვის მაგარი გავხდები ქვისებრ,
მთელ ჩემ ცხოვრებას მთლიანად დავშლი
და მერე დაშლილს ავაწყობ ისევ,
ოღონდაც მყავდეს პატარა ბავშვი!

## თოვლზე შეყვარებული

თოვლს, ალერსის ყვავილებით, ზედვაკვდები,
თითქოს მისგან ანგელოზნი მღერენ.
თოვლი რომ დგამს, იმნაირი სპექტაკლები
აღარავის არ დაუდგამს ჯერეთ.

დაუფარავს თოვლს ცხოვრების შავიმხრები...
თოვლი მარჩენს, თოვლი ვალსაც მიხდის...
ღმერთო, ნუთუ მე და თოვლიც გავიყრებით —
ნუთუ ესეც შეუძლია სიკვდილს!

## სვე

სვე თუ დაგვიშლის ფერენას გედებთან —
როგორც არ უნდა ვეძმოთ სიმართლეს
და რაც არ უნდა ვქნათ სიკეთედა
წყალობა, მაინც არ გაგვიმართლებს —

ვერაფრით გავალთ ჭირის ტენტიდან,
სადაც დარდები ჩვენთვის დარაზმეს,
ამიტომ დავრჩი ასე კენტადა
ასე ობოლი ამქვეყანაზე.

# ტაირონის ტომის ინდიელების უძველესი ოქროს თვითმფრინავები

ბოგოტაში მდებარე ცნობილ ოქროს მუზეუმში ინახება კოლუმბის ეპოქამდელი ინდიელების ოქროს ნაკეთობების ყველაზე მდიდარი კოლექცია. ასეულობით ძვირფას ქანდაკებას, რიტუალურ ნივთებსა და ოქროს სამკაულებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საიდუმლოებით მოცული ნივთების პატარა კოლექციას.

ეს „რელიგიური სამკაულები“, როგორც მუზეუმის თანამშრომლები მათ უწოდებენ, ტაირონის ტომის ინდიელების სამარხებშია ნაპოვნი.



ტაირონის ცივილიზაციის აყვავების ხანა დაახლოებით ახალ სამყაროში ესპანელების ჩასვლამდე 500 წლით ადრე პერიოდში იდგა, ტაირონის ხალხი მაღალგანვითარებული იყო. ისინი კარგი მქსოველები იყვნენ, ეცვათ ბამბის სამოსი და ბუმბულისგან დამზადებული ნივთებს ატარებდნენ, ჰქონდათ ძვირფასი საიუველირო სამკაულები. ოქროს მუზეუმში ბევრი რამის ნახვა შეგიძლიათ — აქ მრავლადაა ამულეტები, სამკაულები, სამაჯურები...

ამ ოქროს ნივთებს შორის გამოირჩევა პატარა ზომის ფიგურები, რომლებიც წარმოადგენს ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და მწერების სტილიზებულ გამოსახულებებს. ამ ფიგურებში ფაუნის რეალური წარმომადგენლების ამოცნობა ვერ მოხერხდა, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით, მათში ნამდვილად დაინახავთ... რეაქტიულ თვითმფრინავს.

როდესაც თანამედროვე ადამიანი ამ ფიგურებს ხედავს, პირველი, რასაც შეიძლება ისინი შეადაროს, თვითთფინავია.

თუ ნივთს გვერდიდან შეხედავთ, კიდევ უფრო მეტ მსგავსებას შეამჩნევთ თვითმფრინავთან.

სამკუთხედი ფრთები ამ დროს ჰორიზონტალურად მოჩანს, ხოლო თუ წინიდან შეხედავთ, დაინახავთ, რომ ისინი ოდნავ ქვემოთ არის დახრილი. საინტერესოა, რომ სამკუთხედი ფრთების გამოყენება თვითმფრინავების მშენებლობაში დაახლოებით 1950-იანი წლებიდან დაიწყო იმ თვითმფრინავებში, რომლებსაც მათალი საფრენი-ტექნიკური მახასიათებლები ჰქონდათ და დაახლოებით 1980-იანი წლებიდან დაიწყეს მათი გამოყენება პლანერებისა და ზემსუბუქი საფრენი აპარატების დამზადებისას.

თანამედროვე ზესწრაფი თვითმფრინავების განსხვავება, რომელთაც სამკუთხედი ფრთები აქვთ, იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მათგანი რეაქტიულია იმ ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავების გარდა, რომლებიც 1970-იან წლებში შეიქმნა — ისინი სამხედრო თვითმფრინავებია.

უფრო მეტიც, როდესაც „თვითმფრინავის ოქროს მოდელს“ ათვალიერებ, არ შეიძლება მისი კუდის ნაწილში, ფრთებსა და კუდის ნაწილს შორის არსებული ისეთი ადგილი ვერ შეამჩნიო, რომელიც ელევონს მოგაგონებთ — მოძრავი ზედაპირები, რომლებიც თვითმფრინავის ფრთის უკანა ნაწილთან მდებარეობს და სიმაღლის საჭის და ელერონის როლს ასრულებსენ წინა მხარეს ოდნავ ჩაღრმავებულები, ისინი ფრთებზე კი არ მაგრდება, არამედ ფუზელიაჟზე, თვითმფრინავის ჰორიზონტალური ღერძის ოდნავ ზევით და კარგად გამოხატული გეომეტრიული ფორმა აქვთ.



რაც შეეხება კუდის ნაწილს, რომელიც შესრულებულია, როგორც მართკუთხა სამკუთხედი და ფრთების მიმართ პირდაპირ პერპენდიკულარულია, ეს მოდელის ყველაზე უფრო „მექანიკური“ ნაწილია, რომელსაც ცოცხალ ბუნებაში ანალოგი არ გააჩნია და თვითმფრინავის კუდის ნაწილიდან არის „გადაღებული“.

1969 წელს ტაირონის ტომის ოქროს „თვითმფრინავებს“ ექსპერტიზა ჩაუტარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი ზოოლოგი სივენ სენდერსონი, ნიუ-იორკის აეროსანავიგაციო ინსტიტუტის დოქტორი ბ. პეისლი, ავიაკონსტრუქტორი არტუტ იუნგი და აეროდონამიკის პედაგოგი ჯ. ოლდრიჯი. ექსპერტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს ობიექტები არა ბიოლოგიური, არამედ მექანიკურია.

ამავე დროს, ოქროს თვითმფრინავების კომპიუტერულმა მოდელირებისა და აეროდინამიკურ მილში ჩატარებული რეალური გამოცდების შედეგად სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს „რელიგიური სამკაულები“ უფრო თვითმფრინავის მოდელებია, ვიდრე რაიმე ცოცხალი არსებების გამოსახულებები. მაგრამ ამ ჰიპოთეზის აღიარებამდე არსებობს ერთი „მაგრამ“ — საიდან შეიძლებოდა ტაირონის ტომის ინდიელებს რამდენიმე ათასი წლის წინათ ჰქონოდათ რეაქტიული თვითმფრინავები? ლოგიკურად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფიგურები ამულეტებია, რომლებიც ზოგიერთი არსებების კულტებთან — ფრინველებთან, მწერებთან ან თევზებთან არის დაკავშირებული.

რა თქმა უნდა, ასეთი რამ შესაძლებელი იქნებოდა, რომ არა ერთი შეუსაბამობა. როგორც აღმოჩნდა, მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ტაირონის ტომებს ეკავათ, არქეოლოგებს არ გამოუვლენიათ ისეთი კულტის არსებობა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ფრთიან მწერებთან, თევზებთან ან ჩიტებთან...

ესე იგი, ეს თვითმფრინავებია! თუ მაინც — საკულტო ამულეტები? ამ კითხვაზე საბოლოო პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს...

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
**მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

**— მაინტერესებს სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედების საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის მიმართ.**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 4. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის მიმართ

1. იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე, სისხლის- სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება დანაშაული, რომელიც დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე საქართველოს კონტინენტურ შელფზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ჩადენილ დანაშაულზე.

3. იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა ხომალდზე, რომელიც უფლებამოსილია ისარგებლოს საქართველოს სახელმწიფო ალმით ან ამოსაცნობი ნიშნით, ანდა ასეთი ხომალდის წინააღმდეგ, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. თუ უცხო ქვეყნის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა, აგრეთვე სხვა პირმა, რომლებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ, დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინეს, მათი სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით.

* * *

**— რას ნიშნავს ამსრულებლის ექსცესი?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 26. ამსრულებლის ექსცესი

1. ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა.

2. ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

* * *

**— დანაშაული ჩაიდინა ფსიქიკურად ჯანმრთელმა ადამიანმა, რომელიც შემდეგ განაჩენის გამოტანამდე დაავადდა სულიერად. რა ელის მას? გაასამართლებენ თუ არა?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც თუ დანაშაული შერაცხადმა პირმა ჩაიდინა, მაგრამ იგი ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას, პირი სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე მოიხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში.

## პატივცემულო რედაქცია,

**თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა გადავუხადო სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის კოლექტივს.**

**განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ამ ცენტრის თანამშრომლების: ნინო სონაშვილის, მზია ტარტარაშვილისა და ქეთევან ხუფენიას მიმართ, რომლებიც გულისხმიერებით მოეკიდნენ ჩემს პრობლემას და გამორჩეული კომპეტენტურობითა და პროფესიონალიზმით, უმოკლეს ვადაში მოაგვარეს ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი.**

**ამ კეთილშობილ ქალბატონებს ვუსურვებ ბედნიერებას და წარმატებებს საქმიანობაში.**

**პატივისცემით,**

ბელა გველესიანი

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com